# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

ფასი 1 ლარი

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№132 (9812) 2024 წლის 18 ნოემბერი. ორშაბათი


## იუდას ამბორი...

# გაერთიანებული ნაცხროვის სიბინძურე



4

## დიდი „პატარა კახი“



6-7

# მეფეთ მეფე ერეკლე II

### მნიშვნელოვანი გამოცემა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, „ბაგრატოვანთა სახლმა” და კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა მეფეთ-მეფე ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური წყაროების (სიგელები, არზები, განჩინებები, ბრძანებები, წერილები და სხვა საბუთები) I ტომი. ტექსტები მოამზადა და კომენტარები დაურთო იოსებ ბიჭიკაშვილმა. გამოცემის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი. წიგნი დაიბეჭდა ასოციაცია „წინაპრების” მხარდაჭერით.

მკითხველს ვთავაზობთ „დოკუმენტური წყაროების” I ტომის წინათქმის ამონარიდს, რომლის ავტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

## ფრთხილად, აფხაზეთო!

### ასლან ბჟანია გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მზაობას კონკრეტული პირობით აცხადებს



2

## წელს მესტიამ იმდენივე ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 12-მა მუნიციპალიტეტმა ერთად!




11

## მიშო ჯავახიშვილი ანზორ ერქომაიშვილის როლში

„შავი შაშვი“ - ასე ჰქვია მხატვრულ ფილმს, რომელსაც გიორგი ჭუმბურიძე იღებს. ეს არის ფილმი უდიდეს ფიგურაზე ქართულ კულტურაში, ლეგენდარულ ფოლკლორისტზე, საგუნდო დირიჟორზე, მუსიკოსზე – ანზორ ერქომაიშვილზე...



11

## გერმანიის მმართველი კოალიციის დაშლა ევროპას საფრთხეს უქმნის!

8

## საქართველო საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებების რეკორდსმენია!

საქართველო საბავშვო ევროვიზია 2024-ის გამარჯვებულია. ანდრია ფუტკარაძემ 239 ქულით საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე მეოთხე გამარჯვება მოუტანა. ამ შედეგით საქართველო კონკურსის რეკორდსმენია.

ანდრია ფუტკარაძემ ჟიურისგან 180 ქულა მიიღო, ხოლო ონლაინ ხმებით – 59 ქულა.

საქართველომ 12 ქულა მიიღო იტალიისგან, ესტონეთისგან, ალბანეთისგან, სომხეთისგან, კვიპროსისგან, ესპანეთისგან, ნიდერლანდებისგან, სან მარინოსგან, უკრაინისგან, პორტუგალიისგან, ისლანდიისგან, მალტასგან.

ანდრია ფუტკარაძე მაყურებლის წინაშე სიმღერით **To My Mom** წარდგა, რომელიც გიგა კუხიანიძემ დაწერა, მასთან ერთად ტექსტზე მაკა დავითაიამ იმუშავა. ვიდეორგოლი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაიღო; კოსტიუმი კი იზა ნადარეიშვილს ეკუთვნის.

საბავშვო ევროვიზია 2024 ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართა, რომელშიც 17 ქვეყანა მონაწილეობდა.

საბავშვო ევროვიზია 2025-ს საქართველო უმასპინძლებს.

✦ ✦ ✦

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ანდრია ფუტკარაძეს, დედისადმი მიძღვნილი სიმღერის შემქმნელ მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ შთამბეჭდავ გამარჯვებას.

გმადლობთ, ანდრია!



## ვატიკანში მიკვლეულია არმენული ანბანის გამომგონებლის უცნობი ფრესკა

7



# მამუკა არეშიძე: აფხაზეთის პროცესებში, რაღაც დოზით, ქართველებიც არიან ჩართულები...



**ოკუპირებულ აფხაზეთში უკვე რამდენიმე დღეა ვითარება უკიდურესად არის დაძაბული, ხოლო 15 ნოემბერს ამ დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ე.წ. პარლამენტს უნდა მიეღო კანონი, რომელიც აფხაზეთში რუსებისთვის ქონების და მიწების მიყიდვის უფლებას გულისხმობს. თუმცა ადგილობრივების მწვავე პროტესტის გამო, ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს უკან დახევა მოუწია. უწყვეტი პროტესტის შემდეგ, როცა მომიტინგეები ე.წ. პარლამენტის შენობაში შევარდნენ, ასლან ბჟანიას დე ფაქტო მთავრობამ ადგილობრივებს პირობა მისცა, რომ ე.წ. აპარტამენტების კანონს უკან გაიწვევენ.**

ბჟანიას პრესსამსახურის ინფორმაციით, ამჟამად დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაცია საინვესტიციო შეთანხმების კანონპროექტის რატიფიცირების პარლამენტიდან გატანის შესახებ დოკუმენტს ამზადებს.

„ეს გადაწყვეტილება რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით იქნა მიღებული“, – აღნიშნულია განცხადებაში.



**კონფლიქტოლოგი მამუკა არეშიძე for.ge-სთან ამბობს, რომ აფხაზეთში მიუხედავად უკიდურესად დაძაბული სიტუაციისა, გამორიცხულია, რომ შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყოს, რადგან აფხაზეთი პატარაა და ბარიკადების ორივე მხარეს ერთმანეთის ნათესავები დგანან. თუმცა, თუკი რაიმე სხვა სახის პროვოკაციებს ექნება ადგილი და რამე გაუთვალისწინებელი დაპირისპირება იქნება, ეს სულ სხვაა.**

„ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ მიუხედავად უკიდურასად დამძიმებული სიტუაციისა, არ ველი, რომ აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირება მოხდეს. ვიცით, რომ აფხაზეთი პატარა რეგიონია და იქ ყველა ერთმანეთის ახლობელია. კი ბატონო, შესაძლოა, რაღაცა პატარა ინციდენტები იყოს, მაგრამ რაიმე დიდ შეიარაღებულ და სამოქალაქო ომს გამოვრიცხავ. რაც შეეხება მოვლენების განვითარებას, მგონია, რომ კრემლი ამ ყველაფერს ასე ადვილად არ დატოვებს. ის ახლა დილემის წინაშე დგას. აფხაზეთიდან რუსეთში ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. ეგონათ, რომ ბჟანია მაინც რაღაცა დონეზე ვითარებას თავს გაართმევდა.

რუსეთში მნიშვნელოვანი პრობლემა უდგათ, შესაძლოა, იგივე სიტუაცია კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც მიიღონ. ის მოედოს სხვა ეთნიკურ ჯგუფებს და კრემლს ეს პრობლემა უფრო სერიოზული სახით დაუბრუნდეს. ხოლო თუ უკან არ დაიხევენ, აქაც პრობლემა ჩნდება, მაშინ მათ ყველა იგივეს გაუბედავს. ამიტომ, არ ვიცი რა იქნება კრემლის პასუხი, მაგრამ ფაქტია, რომ იქნება. აფხაზები ისედაც ეკონომიკური ანექსიის პირას არიან. დენის საკითხი და სხვა სოციალური საკითხები მათთვის უკვე სერიოზული პრობლემა გახდა. ამიტომ აფხაზების ეს რეაქცია რუსებისთვისაც მოულოდნელია. მეორე მხრივ კი თავად ეს ოპოზიციაც, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, არ არის ანტირუსული, უფრო ანტიკრემლისტურია, რადგან მისი სურვილის წინააღმდეგ მიდიან“, - ამბობს არეშიძე.

მისივე თქმით, ალბათ, კრემლის პირველი რეაქცია ის იქნება, რომ ოპოზიციონერ ლიდერებს რუსეთის მოქალაქეობას ჩამოართმევენ და ისინი „პერსონა ნონ გრატად“ იქნებიან გამოცხადებულები. თუმცა ამით აფხაზებში ჩაახშობენ თუ არა ამ პატრიოტულ განწყობებს, ნაკლებად მოსალოდნელია.

„ოპოზიციასთან რუსეთი ცდილობდა რაღაცების დალაგებას. კრემლში იმედი ჰქონდათ, რომ რაღაც სხვაგვარად იქნებოდა და ამ ვა-ბანკზე ოპოზიცია არ წავიდოდა. ალბათ, ეს ყველაფერი ასევე, ბჟანიას დიდი პრობლემა გახდება, რომელსაც აფხაზეთში, ვფიქრობ, ნაკლებად დაედგომება და კრემლისგანაც სათანადო პასუხს მიიღებს. მას დე ფაქტო პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა კვლავ უნდოდა, რაც მგონია, რომ აღარ მოხდება. მისი საქმე, როგორც აფხაზეთში, ასევე კრემლშიც წასულია“, - ამბობს არეშიძე.

**რაც შეეხება ამ პროცესების მიმართ საქართველოს დამოკიდებულებას, არეშიძე ამბობს, რომ ბევრის თქმა ამ მხრივ არ შეიძლება, თუმცა ფრაგმენტულად რაღაცის გამჟღავნება შესაძლებელია.**

**„დავიწყოთ იქიდან, რომ ის პირები, რომლებიც ახლა ოპოზიციის ავანგარდში არიან და ეს პროცესები მიჰყავთ, უმეტესობა ანტიქართველია. ისინი ქართველების მიმართ აგრესიას და სიძულვილს ღიად გამოხატავენ. ამიტომ რთულია იმის თქმა, რომ მათთან ქართველები და ქართული მხარე რაიმე კავშირშია. მეორე მხრივ კი თავად ეს ოპოზიციონერები ამბობენ, რომ მიწებს აფხაზეთში ქართველები ყიდულობენ. დაასახელეს ხუთი ბიზნესმენის სახელი და გვარი, რომელთა შორის ბიძინა ივანიშვილიც არის. ასევე საუბრობენ რუსეთში მცხოვრებ აფხაზ ბიზნესმენებზე და იმ პირებზე, რომლებიც კრემლთან დაახლოვებულები არიან. ამიტომ დეტალურად როგორ და რაინაირად არის საქართველო ამ საქმეში ჩართული, ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიტყვი იმას, რომ რაღაცა დოზით და ფორმით ჩართულები არიან. სხვა მხრივ, მაინც მგონია, რომ კრემლი აფხაზეთს ხელს ასე მარტივად არ გაუშვებს და ეს ყველაფერი ასე ადვილად არ დასრულდება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, კრემლის პასუხი იქნება.**

ესაუბრა

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ფრთხილად, აფხაზეთო!

## ასლან ბჟანია გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მზაობას კონკრეტული პირობით აცხადებს



**აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის გადადგეს, მხოლოდ მას შემდეგ რაც პროტესტის მონაწილეები სახელმწიფო შენობების კომპლექსიდან გავლენ. ამის შესახებ ასლან ბჟანიამ მომხრეებს, მშობლიურ სოფელ ტამიშში განუცხადა. ამასთან, ბჟანიამ ისიც თქვა, რომ ახალი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის თავისი კანდიდატურის წამოყენებისთვისაც მზად არის.**

„აფხაზეთის კანონიერად აღიარებული პრეზიდენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება. 2014 წლის სცენარი არ განმეორდება. პარლამენტის წევრებზე არის უზარმაზარი ზეწოლა, რათა პარლამენტმა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღოს. პირველ რიგში, ეს გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება. მეორე მხრივ კი თუ მას მაინც მიიღებენ, გადაწყვეტილება არ შესრულდება. არ მინდა შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ძალაუფლებას ვეჭიდები. არა, მინდა გითხრათ: თუ განვითარების კონსტიტუციური ფორმები არ იქნება, თუ კონსტიტუციას არ დავიცავთ, ჩვენი სახელმწიფო ამას ვერ გაუძლებს. ამიტომ, მათ ვინც შენობები დაიკავა, ისინი ვინც სახელმწიფო გადატრიალებას შეეცადნენ, უნდა დატოვონ შენობები, რის შემდეგაც მზად ვარ დავნიშნო არჩევნები, გადავდგე და წავიდე არჩევნებზე. ქვეყნის მართვას ვიცე-პრეზიდენტი ჩაიბარებს. და ხალხმა თქვას, ვის უჭერს მხარს. დაე სიმართლე გახდეს თავისუფალი აზრის გამოხატვის შედეგი“, – განაცხადა ასლან ბჟანიამ.

„ეხო კავკაზა“ წერს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტი ოპოზიციის პროტესტის გამო თანამდებობიდან ვადაზე ადრე ორჯერ გადადგა. 2014 წლის პირველ ივნისს თანამდებობიდან გადადგა ალექსანდრე ანქვაბი. იმ დროისთვის კონფლიქტი საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზეთის პასპორტების გაცემით იყო გამოწვეული.

# რუსეთში კეზერაშვილს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს

**რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი კეზერაშვილს თაღლითობას ედავება.**

დავით შოთას ძე კეზერაშვილი რუსეთის ფედერაციის ძებნილთა ბაზაშია შეტანილი. ის საერთაშორისო ძებნაშია. მას თაღლითობაში ედება ბრალი, მოსკოვის სასამართლომ კეზერაშვილს დაუსწრებლად პატიმრობა მიუსაჯა, – წერია საგამოძიებო კომიტეტის განცხადებაში.

როგორც რუსული სამთავრობო მედია TACC წერს, სასამართლოში კეზერაშვილის წარმომადგენლებმა განაჩენი არ გაასაჩივრეს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაში კეზერაშვილის წინააღმდეგ 2 საქმეა აღძრული.



2016 წელს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრ ბასტირკინმა კეზერაშვილის წინააღმდეგ გამოძიება წამოიწყო, რომელშიც ყოფილ მინისტრს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში სამხედრო დანაშაულებში ედება ბრალი.

არჩევნების ანაბანა

საქართველოს რესპუბლიკა

## პატრიარქის განცხადება

# ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ერთად უნდა შექმნონ ქვეყნის წინსვლა!

დასრულდა ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების გამოვლენის პროცესი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა „ქართული ოცნების“ ხმების დიდი უმრავლესობით გამარჯვება. გულითადად ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

მართალია, ოპოზიცია არჩევნების შედეგებს აპროტესტებს და წინააღმდეგობის გაგრძელებას გეგმავს, მაგრამ გამოვთქვამთ იმედს, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეძლებენ შემდგომი წლები მაქსიმალურად გამოიყენონ ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის. ყველაფერი



ამჟამად ღვთის ნებითაა. მთავარია, ჩვენსა და უფალს შორის სინერგია შედგეს. უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს საქართველო მშვიდობით, ამინ!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

## ირაკლი კობახიძე:

# ქვეყნის პარლამენტს ვისი ლეგიტიმაციაც სჭირდება, ეს არის ქართველი ხალხი, სწორედ ქართველმა ხალხმა მიანიჭა საქართველოს პარლამენტს ლეგიტიმაცია!

**არც ერთ ქვეყანაში პარლამენტს არ სჭირდება ოპოზიციის ლეგიტიმაცია. ეს რომ სხვანაირად იყოს, ვერც ერთი დემოკრატიული სისტემა ვერ შედგებოდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.**

**მთავრობის მეთაურის თქმით, ერთადერთი, ვისი ლეგიტიმაციაც სჭირდება ქვეყნის პარლამენტს, ეს არის მოსახლეობა, ამომრჩეველი, ქართველი ხალხი.**

სწორედ ქართველმა ხალხმა მიანიჭა პარლამენტს ლეგიტიმაცია. რაც შეეხება პარლამენტის პირველ შეხვედრას, ვადები არის დადგენილი კონსტიტუციით. ვვარაუდობთ, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ფორმალური პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კიდევ ერთხელ დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას და არ დანიშნავს პარლამენტის პირველ სხდომას. ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან ზუსტად მეათე დღეს, ანუ 25 ნოემბერს შეიკრიბება, ეს არის, რასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუცია.

უწმინდესს და უნეტარესს უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი პოლიტიკური გუნდის სახელით მილოცვისთვის.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ძალიან ყურადსაღებია პატრიარქის განცხადებაში წარმოდგენილი თითოეული გზავნილი.

რაც შეეხება პარლამენტის პირველ შეკრებას, როგორც მოგეხსენებათ, ვადები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ფორმალური პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კიდევ ერთხელ დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას, არ დანიშნავს პარლამენტის პირველ სხდომას. ამ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან ზუსტად მე-10 დღეს, ანუ 25 ნოემბერს შეიკრიბება. ეს არის, რასაც ადგენს კონსტიტუცია.

ხალხი მხარს არ უჭერს ოპოზიციას და მის მიერ გაცხადებულ გეგმებს, ხალხს უნდა მშვიდობა, ხალხს სჭირდება სტაბილური განვითარება, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურს კითხვა დაუსვეს თბილისში დაგეგმილ აქციაზე, რაზეც პრემიერმა აღნიშნა, რომ ოპოზიციას ხალხის მობილიზება არ შეუძლია.

რეგიონებიდან ჩამოჰყავთ ხალხი, ამისთვის ფულიც იხარჯება, თუმცა ხედავთ, რომ ხალხის მობილიზება მათ არ შეუძლიათ გამომდინარე იქიდან, რომ ხალხი მხარს არ უჭერს ოპოზიციას და მის მიერ გაცხადებულ გეგმებს. ხალხს უნდა მშვიდობა, ხალხს სჭირდება სტაბილური განვითარება და ეს არის ის, რაც მოხდება შემდეგი 4 წლის განმავლობაში. ოპოზიცია მე მგონი, ემზადება პარლამენტში შემოსასვლელად, რეალური გეგმა არის ეს!..



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად გუშინ ფოთში ახლად გახსნილი ნიჩბოსნობის ბაზა დაათვალიერა.**

# პრემიერმა ფოთში ახლად გახსნილი ნიჩბოსნობის ბაზა დაათვალიერა

მთავრობის მეთაური ბაზის ინფრასტრუქტურას გაეცნო, სპორტსმენებს შეხვდა და საჩვენებელ შეჯიბრს დაესწრო.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ სპორტის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია.

„ნიჩბოსნობის ბაზა არის ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის უფრო მეტად განვითარებას. ბოლო წლებში ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი წარმატებები ამ სფეროში და გვჭირდება კიდევ უფრო მეტი წარმატება. ეს ინფრასტრუქტურული ობიექტი ჩვენს წარმატებებს სპორტის ამ სახეობაში კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც იყო ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში. თეა წულუკიანის მინისტრობის პერიოდში გაჩნდა ეს იდეა და დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. მინდა, თეა წულუკიანს გადავუხადო მადლობა, ისევე როგორც ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელებაში“..

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ნიჩბოსნობის და კანოეს ბაზა სპორტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სავარჯიშო, სპორტსმენების საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სივრცეებს მოიცავს. პროექტის ბიუჯეტი 6 628 698 ლარია.

# დღის ციტატები



ზნედაცემული, არაკაცი დავით კირთაძე პირწავარდნილი კრიმინალია. მისი გამიზნული, წინასწარ ჩაფიქრებული ძალადობა არამხოლოდ გიორგი კალანდარიშვილის, არამედ მთელი ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა! კირთაძე, გვარამია, ვაშაძე, მელია და მთელი ნაციონალური მოძრაობის დაბრმავებული „ბნელიტა“რაც შეიძლება მალე უნდა მოვაშოროთ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს!

„ს. რ“

## ცნება ქართველი ვამპირისთვის ვერცხლის ტყვიის ტოლფასია!

**„როდესაც ვიღაც „პროფესორი“ გენდერფვემინა საქართველოს ქუჩებში არარსებულ „სობაკებს“ ებრძვის, ან მისი გამოზრდილი ბაკალავრები დედანაგინებ პოლიციელებს „მილიციონერებს“ ეძახიან – ცნობისმოყვარეობით ინტერესი გიბიძგებს ბოლომდე გაჰყვე ამ ფსიქიატრიას: ფსკერზე ჯერ არ დაშვებულან თუ უკვე ქვემოდან აკაკუნებენ,“ – წერს სოციალურ ქსელში პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი, რითაც იმ პროფესორ-მასწავლებლების ქცევას ეხმიანება, რომლებიც სტუდენტებს აქციებისკენ მოუწოდებენ.**

„შეიძლება ანთროპოლოგისთვის ან პრაქტიკოსი ფსიქოლოგისთვის საინტერესო კვლევით-შემეცნებითი სანახაობა იყოს ის სრული მარაზმი, რაც ლოკალურად ხდება დღეს საქართველოს ამა თუ იმ ფსევდოლიბერალურ „ცხელ წერტილზე“ – მაგრამ ესთეტიკური თვალსაზრისით, ან წმინდა ქრისტიანული თვალთახედვით ეს არის სრული კოშმარი.

როდესაც ვიღაც „პროფესორი“ გენდერფვემინა საქართველოს ქუჩებში არარსებულ „სობაკებს“ ებრძვის, ან მისი გამოზრდილი ბაკალავრები დედანაგინებ პოლიციელებს „მილიციონერებს“ ეძახიან – ცნობისმოყვარეობით ინტერესი გიბიძგებს ბოლომდე გაჰყვე ამ ფსიქიატრიას: ფსკერზე ჯერ არ დაშვებულან თუ უკვე ქვემოდან აკაკუნებენ.

ბინძურ სამზარეულოში ღამით მოულოდნელად დანთებულმა სინათლემ ტარაკნების ქაოსურ და ტრაგიკულ ტრაფიკს რომ იწვევს – ამას წააგავს ჩვენი გენმოდიფიცირებულების კონვულსიები, რაც თბილისის და ვაშინგტონის არჩევნებმა გამოიწვიეს მათში. მათ მონურ, მარიონეტულ ლაქიაობას – ცნება ქართველი ან ქართველობა ვამპირისთვის ვერცხლის ტყვიის ტოლფასია. დადიან მათთვის გაუგებარ და უცხო სამშობლოში და არარსებულ „სობაკებს“ ეძებენ...“



**დავით ქართველიშვილი**

## სამი პარტია ატყუებს ამომრჩეველს...

**თამარ ჩერგოლეიშვილი ცესკოსთან გამართულ დღევანდელ აქციას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.**

„დღეს ცესკოსთან აქცია იყო.სამი პარტია ატყუებს ამომრჩეველს (გახარია მგონი ჩუმადაა), რომ ბიძინა ივანიშვილს ყოფას უტირებს.სამმა პარტიამ მრავალი მილიონი დახარჯა არჩევნებში.ერთი თვეც არ გასულა და 200 კაცზე მეტის მობილიზება ვერ გააკეთეს. რევოლუციას „აწყობენ“ თან.მინიმალური პატივისცემა არ გააჩნიათ ამომრჩევლის, რომ არ მოატყუონ მაინც.რატომ აკრიტიკებო.ვინც ამათ არ აკრიტიკებთ, თავებს მოჰკითხეთ რუსულ ჭაობში ჯდომა.“



**თამარ ჩერგოლეიშვილი**

# გაერთიანებული ნაცხროვის სიბინძურე



**ღმერთო, რა დიდი კაცია ეს გიორგი ვაშაძე, ამომრჩეველი სიყვარულით ჭიჭეს რომ ეძახის, ეფერება, აი, ისე, ჩვენი კუტუნია ბიჭიო, რომ იტყვიან. ჰოდა, ადგა იმ დღეს ეს კუტუნია სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე 4+1-ის შეკრებიდან (ოთხი ბარიერგადალახული ოპოზიციის ლიდერი და პრეზიდენტი ზურაბიშვილი) გამოსული და მთელი საქართველოს (და, ლამის, მთელი მსოფლიოს) გასაგონად დაახეთქა, ჩვენ ვართ გამარჯვებულები, ჩვენ ვართ ქვეყნის ხელისუფლებაო!**

ვაშაძეს არ ჩამორჩა მასავით დიდი ეკონომიკური მოღვაწე მამუკა ხაზარაძე: გეგმა ჩვენ ვართო, ლუი XIV-ის გამოსაჯავრებლად, სახელმწიფო ეს მე ვარო!

თავისუფლად ამოისუნთქა არჩევნებგამოვლილმა, აქციებით გვემულმა ხალხმა, ჩვენებმაც და იმათებმაც, გადაწყვეტილა ყველაფერი და ეგ არიო. მაგრამ შემდეგ გაახსენდათ, რომ არიქა, გავიმარჯვეთო, ბევრჯერ უყვირია ბეყერა ჭიჭეს უშედეგოდ. აბა, გაიხსენეთ: მთელი ეს დღევანდელი ბაკქანალია სწორედ ჭიჭეს ჩაკურატებული თავ-ყბით არის შობილი. არჩევნებამდე ყოველ ტელეგამოსვლას ასე „იმედიანად" ამთავრებდა: ლაპარაკი არ უნდა, ჩვენ ვიმარჯვებთ! ფაქტობრივად უკვე გავიმარჯვეთ! ჩათვალეთ, რომ გამარჯვებულები ვართო! და ასე შემდეგ...

**აქ ისმის ლოგიკური კითხვა, განმეორებით არჩევნებშიც რომ „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვოს, მაშინ რას აპირებენ? ხელახალი არჩევნების მოგებაში, თანაც უფრო მაღალი შედეგით, „ოცნებას" ეჭვი არ ეპარება! რა სიმწრით ნაგროვები თანხები, რა დასმენები, რა წერილობითი თუ ზეპირი პატაკები, უცხოურ დეპეშებსა და კაბინეტებში რამდენი ძრომა-ხოხვა ჩაეყრებათ წყალში! ისე რომ, ოპოზიციას უჯობს იმას მიხედოს და მოიხმაროს, რაც ამ არჩევნების შედეგად მოიპოვა. ის კი, რაც მოიპოვა, ცოტა როდია – პარლამენტში 61 მანდატი, „ოცნების" 89 მანდატის ფონზე, არცთუ ცოტაა!**

მაგრამ ოპოზიციას „არცთუ ცოტა" არ აკმაყოფილებს, მას ყველაფერი უნდა, ოღონდ ერთი საბუთიც არ აქვს, თუ რისთვის ეკუთვნის ეს „ყველაფერი"... დიახ, საბუთი არა აქვს, სამაგიეროდ ბრალდებები აქვს უხვად, ყოვლად წარმოუდგენელი და უსაფუძვლო. რას არ კადრულობენ! ხელისუფლება ვითომ ემუქრებოდა, აშინებდა, მოისყიდდა ამომრჩეველს, ართმევდა მათ პირადობის მოწმობებს და პასპორტებს მრავალჯერადი გამოყენებისთვის...კარუსელებიო, ქურდობაო, მოტყუებაო... ბოლოს მიაგნეს ყოველი ბოროტების სათავეს – შავ წერტილს საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს, ფარულობის დარღვევააო, თეთრ ქაღალდზე ეს პატარა შავი წერტილიღა დარჩენიათ იმედად...



**სალომე სამადაშვილი: ჩვენ შევთავაზეთ დასავლეთს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ იმისთვის, რომ პარტნიორობა დაამყარონ ქართველ ხალხთან და არა უზურპატორ ხელისუფლებასთანო. აშკარაა ორხელისუფლებიანობისკენ სწრაფვა და მოწოდება. მით უფრო, რომ უკვე გამოაცხადეს უარი პარლამენტში შესვლაზე.**

ვაშაძის ეს უკუდო ოპტიმისტური ლოზუნგები, თქმული ღრიალით და თვალების ბრიალით, მრავალგზის გაიმეორეს სხვა ლიდერებმაც. ასე აგორდა უეჭველი გამარჯვების თვითდაჯერება და როცა არჩევნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციამ წააგო, ამის დაჯერება გაუჭირდათ.

მაშ რა მოუვიდოდათ: თვეობით უტენიდნენ ხალხს თავში, უკვე გავიმარჯვეთ, მთელი საქართველო ჩვენ მოგვყვებაო და აღმოჩნდა, რომ გამარჯვება თურმე მხოლოდ ვაშაძის, გვარამიას, მელიას, ხაზარაძის, გახარიას და ძმათა მათთა ტვინებში გამომცხვარა და ატყდა, რაც ატყდა. ოღონდ, სავარაუდოა, რომ მოტყუებული ხალხი „ოცნებას" კი არ დაუწყებს პასუხის მოთხოვნას, არჩევნები მოგვპარეთ! არჩევნები გაგვიყალბეთო! არამედ, სწორედ რომ თავიანთ ლიდერებს: რატომ მოხდა, რაც მოხდაო!

მაინც რა მოხდა ასეთი საყვირალი და ასეთი საკივლეელი? მოხდა ის, რაც თორმეტი წელია ხდება: ოპოზიციამ წააგო, „ოცნებამ" მოიგო. და ეს სრულიად კანონზომიერია. არაკანონზომიერი ის გახლავთ, რომ ოპოზიციამ იმდენი იძახა გავიმარჯვეთო, თვითონვე დაიჯერა გამარჯვება, კაცმა არ იცის, რაზე დაყრდნობით და კვლავაც აგრძელებს ამ „საოცნებო" გამარჯვების მტკიცებას, თუმცა, კარგა ხანია ცხვირით შეეჯახა სინამდვილეს და ახლა თუ ყვირის, მხოლოდ თავისი მხარდამჭერების გასაგონად და შესაგულიანებლად. რაც მთავარია, ამას „იქმს" ქართველი „ხალხის" სახელით და ამ „ქართველ ხალხში" სულაც არ გულისხმობს მილიონ ორასიათას „ოცნების" მხარდამჭერს!

დამარცხებული ოპოზიცია ყველა ხერხს ხმარობს „გასამარჯვებლად": არჩევნების შედეგების გასაუქმებლად და ახალი არჩევნების ჩასატარებლად.

**გამოიგონეს უფრო ნაღდი გზაც გამარჯვებისა – დასავლეთი! აბა, სალომე სამადაშვილს მოუსმინეთ: ჩვენ შევთავაზეთ დასავლეთს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ იმისთვის, რომ პარტნიორობა დაამყარონ ქართველ ხალხთან და არა უზურპატორ ხელისუფლებასთანო. აშკარაა ორხელისუფლებიანობისკენ სწრაფვა და მოწოდება. მით უფრო, რომ უკვე გამოაცხადეს უარი პარლამენტში შესვლაზე.**

დასავლეთი... დასავლეთი! ხომ ნახეთ, რა ოპერატიულად მოგვაშველა დასავლეთმა ჟანგბადი – ევროპის ქვეყნების პარლამენტების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარეების თუ მოადგილეების დელეგაციის სახით. ჩამოვიდნენ, მოუსმინეს პრეზიდენტ ზურაბიშვილს, ოპოზიციის ლიდერებს, აჯანყებული არასამთავრობოების ხელმძღვნელებს და დაასკვნეს, რომ საქართველო დაიღუპება, თუ დღევანდელ კრიზისში „ოცნებამ" სძლია ოპოზიციას. ოპოზიცია ყოველმხრივ მართალი და უმანკოა, „ოცნება" კი დამნაშავე, მტყუანი, ერის მოღალატე, ერთი სიტყვით, ძაღლი და მამაძაღლი. მას ყოველმხრივ უნდა მოეჭრას გზები, გადაეკეტოს სასუნთქი... ამიტომ იბრძოლეთ, იბრძოლეთ და ძუძუს გოჭებივით ჩამოეკიდეთ ევროპას, ის არის თქვენი გადამრჩენიო, დაგვიბარეს.

აი, ხელისუფლება კი მათ უბრალოდ არ შეხვდა და ამ უარმაც ძალზე გაანაწყენა ძალად სტუმრები. შალვა პაპუაშვილმა ასე განმარტა ხელისუფლების უარი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება რჩება ყველა რელევანტური და დაინტერესებული დიალოგის ხელშეწყობის ერთგული, შეხვედრების გამართვის ამ განზრახვას დადებითად ვერ უპასუხებს... არ გამკვირვებია ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის პარლამენტის წევრთაგან შემდგარი დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა, ნამდვილად გამაკვირვა დელეგაციის ზოგიერთი წევრის განზრახვამ, შეხვდნენ საქართველოს პოლიტიკურ და საპარლამენტო ხელმძღვანელებს მიუხედავად მათ მიერ საქართველოს ხელისუფლების და ქართველი საზოგადოების მრავალჯერ გამოხატული პირადი არამეგობრული დამოკიდებულებისა. აშკარაა, რომ ვიზიტის მთავარი საფუძველია პოლიტიკური მიკერძოებულობა და ამას ყველა ხედავს. ამ პოლიტიკოსებმა წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებში უშუალო მონაწილეობით უხეშად დაარღვიეს სხვა ქვეყნის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. ამან ხელი შეუწყო ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს წინააღმდეგობის გაღრმავებაში, რამაც გააუარესა წინასაარჩევნო გარემო, არჩევნების გარშემო დაძაბულობა შექმნა.

შეუძლებელია, ევროპას მშვიდობის პროექტად წარმოაჩენდე და იმავდროულად ევროპის სახელით ქვეყანაში არეულობას თესავდეო... გერმანელმა მიხაილ როთმა ანდერძივით დაგვიბარა: იბრძოლეთ ბოლომდე! თქვენ თუ გაიმარჯვებთ, ჩვენც გავიმარჯვებთ, გადარჩება ევროკავშირი, გადარჩება ევროპაო! კარგად თქვა ამაზე იგივე შალვა პაპუაშვილმა: „ჩვენ ვიხილეთ ქართველების სიყვარულად შემოსაღებული იუდას ამბორი!"

ჰოო, ასეთ დროს მართლაც ძნელია ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში" ჩარგო თავი და ყველა ოხრისთვის ხალხი და ქვეყანა მოიმდურო, მით უფრო, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა მათ არც მასპინძლობა მოაკლო და არც ფეხების დათბილვა!

მაგრამ ეს კიდევ რაა!

გავრცელდა საფრანგეთის პრეზიდენტის, გერმანიის კანცლერისა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ერთობლივი განცხადება, სადაც ევროპელმა ლიდერებმა საქართველოში არსებული ვითარების გამო შეშფოთება გამოთქვეს და ხელისუფლებას კურსის შეცვლისკენ მოუწოდეს. ამაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ასეთი შეფასება გააკეთა: არ შეიძლება ევროპელი ლიდერები მოგვიწოდებდნენ, რომ ქალი არ არის ქალი და კაცი არ რის კაცი. გარდა ამისა, ბატონ შოლცს, რომელსაც კოალიციური მთავრობა დაეშალა, საქართველოს საშინაო საქმეებისთვის არ უნდა ეცალოსო.

კრიზისი გრძელდება, თუმცა, ალბათ მხოლოდ მე არ მეჩვენება, რომ თითქოს უკვე ერთგვარად ფრთებმომტვრეულად. დროდადრო გზების გადაკეტვამ არ შეგაცდინოთ. ქუჩებში პროტესტის ხალხმრავლობის კლებაც ნიშანდობლივია. მიხვდნენ, რომ უმაქნისი, მხოლოდ ენას გადაყოლილი ჭიჭე ვაშაძის იმედად რევოლუციას ვერ მოიგებენ. ყველაფერი, ყოველი წუთი, ყოველი ნაბიჯი გაწერილი, დაგეგმილი გვაქვსო. ისე არ გეტკინოთ არაფერი. აწოწიალეს ეს ამდენი ხალხი წაღმა-უკუღმა, ქუჩა-ქუჩა, მიტინგადაც ვერ აქციეს, სათქმელი აღარაფერი აქვთ, ათასჯერ მოისმინეს უკვე წართმეული არჩევნების შესახებ, თანაც ყოველ „დამტკიცებულ" ვადას უკვე ყავლი გაუვიდა, ვეღარ ფაქტობს და თვალებამოციებული ანა წითლიძის „მტკიცებულებებს" მტერმა უსმინოს. ცოტა არ იყოს, ნიკა გვარამიას ბუნდოვანი შეძახილებიც აფრთხობს ისედაც თავგზაარეულ ადამიანებს: „ნუ იქნებით ბიძინა ივანიშვილის მსახურები, ჩვენი მსახურები იყავით!"

რავარია!

## საპარლამენტო მანდატები ასე გადანაწილდა

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

**2024 წლის** საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, საარჩევნო ბარიერი 4-მა ოპოზიციურმა პარტიამ გადალახა, რომლებიც პარლამენტში, ჯამში 61 მანდატით იქნებიან წარმოდგენილი. მათგან ამომრჩეველთა ყველაზე დიდი 11.03%-იანი მხარდაჭერა და 19 მანდატი, „კოალიციამ ცვლილებისთვის" მიიღო. „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობას" 16 მანდატი აქვს, „ძლიერი საქართველოს" – 14; პარტიას, „გახარია საქართველოსთვის" კი – 12.

არჩევნებში მონაწილე დანარჩენი საარჩევნო სუბიექტის შედეგები ასეთია: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" – 3 892 ხმა, 0.19%; „კოალიცია ცვლილებისთვის" – 229 161 ათასი ხმა, 11.03%, მანდატების რაოდენობა 19. „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა" – 211 216 ხმა, 10.17%, მანდატების რაოდენობა 16; „ევროპელი დემოკრატები" – 7955 ხმა, 0.38%; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" – 50 599 ხმა, 2.44% ; „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!" – 182 922 ხმა, 8.81%, მანდატების რაოდენობა 14; „საქართველოს ლეიბორისტული პარტია" – 15 103 ხმა, 0.73%; „ჩვენი გაერთიანებული საქართველო" – 1845 ხმა, 0.09%; „შეცვალე საქართველო" – 12 528 ხმა, 0.60%; „საქართველო" – 2780 ხმა, 0.13%; „თავისუფალი საქართველო" – 4 145 ხმა, 0.20%; „ტრიბუნა" – 2 483 ხმა, 0.12%; „ჩვენ" – 2593 ხმა, 0.12%; „გახარია საქართველოსთვის" – 161 521 ხმა, 7.78%, მანდატების რაოდენობა 12. „მემარცხენე ალიანსი" – 1260 ხმა, 0.06%; „ქართველ ერთობა" – 4500 ხმა, 0.22% ;„გირჩი" – 62 223 ხმა, 3%; „ქართული ოცნება" – 1 120 053; 53.93%, მანდატების რაოდენობა 89.

✦ ✦ ✦

ყოველ დღეს რაღაც სიახლე მოაქვს. ამას წინათ ანა დოლიძემ გადაგვრია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მე პირადად ეს ისტერიული მომენტი (აქ შეცდომა არ არის, სწორედ რომ ისტერიული იყო და არა ისტორიული ის, რაც სოციალურ ქსელებში ვნახე), ქუჩაში გიჟივით დარბოდა ცნობილი პოლიტიკოსი, რომელიღაც პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტში ახლად არჩეული („ძლიერი საქართველოდან") ანა დოლიძე, რომელსაც კატეგორიული მსჯელობებით ვიცნობდით აქამდე, დარბოდა, როგორც ჩანს, არა უმიზნოდ, არამედ ქუჩის გადაკეტვის მიზნით, მისი მალაყებით გაოგნებულ პოლიციელებს საზარელი ხმით დაჰკიოდა, არ მომეკაროთ თქვე რუსებოო! თქვენ რუსები ხართ, რუსული დამპყრობელი არმიის ნაწილი, არ გაბედოთ, არ მომეკაროთო. მერე თვითაღგზნება

შეიმატა და პოლიციელებს სულ ნაბიჭვრები უძახა ზავთიანი ხმით. ეს იყო საზიზღარი ტრაგიკომიკური სურათი, თვალდათვალ ჩამოიშალა პოლიტიკოსი ოპოზიციონერი ქალის საკმაოდ საინტერესო სახე. ასეთი მეტამორფოზა ხშირად ხდება, განსაკუთრებით ბოლო ხანს, როცა რევოლუციის ლიდერები ხვდებიან, რომ ასეთი მებრძოლი პათოსით დაწყებული საქმე წინ ვეღარ მიიწევს, უკვე დაღმართზე ეშვება. ოპოზიციამ წააგო და ეს წაგება დაიწყო არა არჩევნების შემდეგ, არამედ არჩევნებამდე. „ოცნებამ“ ყველაფერი გაითვალისწინა, როგორც ჩანს, ისიც კი, თუ რის შემდეგ რა მოხდებოდა, მათ შორის გათვალა დღეს შექმნილი ვითარებაც, როცა კრიზისი დამუხრუჭდა და ლიდერებმა არ იციან, რა იქნება შემდეგ, ანუ როგორ გამოვიდნენ მდგომარეობიდან. არ ვიცი, ეს გათვლები საკუთარი ძალებით მოახდინეს თუ უცხოელი სპეციალისტები მოიწვიეს, მაგრამ კარგად რომ გათვალეს, ფაქტია.

**ანა დოლიძე, დარბოდა, როგორც ჩანს, არა უმიზნოდ, არამედ ქუჩის გადაკეტვის მიზნით, მისი მალაყუებით გაოგნებულ პოლიციელებს საზარელი ხმით დაჰკიოდა, არ მომეკაროთ თქვე რუსებოო!**



ოპოზიციის გათვლებმა კი აშკარად ვერ გაამართლა. ახლა მთელი მათი იმედი ევროგამოძიება და ხელახალი არჩევნებია. რევოლუციური ძალ-ღონე კი საპარლამენტო სიების ჩახსნისკენ არის მიმართული. ოთხივე პარტია თანხმდება, რომ პარლამენტში არ უნდა შევიდნენ. არ ვიცი, ამ „ჩახსნაზე“ რას ფიქრობენ თვით „ჩასახსნელი“ ინდივიდები, გარეგნულად ყველაფერი მტკიცე ჩანს, ოღონდ ოთხი პარტიის ეს სიმტკიცე ცოტა მოგონილი მგონია. ვინ იცის, მცირე დრო-ჟამის გასვლის შემდეგ, იქნებ დღეს ჩახსნილი დეპუტატები (ვთქვათ, ორი პარტიიდან) პარლამენტის წევრებად ვიხილოთ!

**P. S.** ამასობაში ცესკომ 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები შეაჯამა, ოქმი შემდგარი და ხელმოწერილია, საარჩევნო პერიოდი დასრულდა, დიდი შეხლა-შემოხლისა და ოპოზიციის ბინძური პროვოკაციის მიუხედავად...



**ალეკო ასლანიშვილი**

# ტრამპის კურთხევა და მისი რჩეულები



**დონალდ ტრამპის, ამერიკის არჩეული პრეზიდენტის, ინაუგურაცია, ანუ პრეზიდენტად კურთხევა, მომავალი წლის 20 იანვარს შედგება. მანამდე, ქვეყნის სათავეში, ისევ, პრეზიდენტი ჯო ბაიდენი რჩება. დარჩენილი 9 კვირის განმავლობაში, ტრამპმა და მისმა მრჩევლებმა მთავრობა უნდა დააკომპლექტონ. მომავალი კაბინეტის წევრები და თეთრი სახლის მომავალი თანამშრომლები შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების სათანადო შემოწმებას გაივლიან, რომლებიც, ინაუგურაციამდე დარჩენილი დროის განმავლობაში, თავიანთ მომავალ საქმიანობას გაეცნობიან, რაშიც ახლანდელი ადმინისტრაციის თანამშრომლები დაეხმარებიან.**

ასეთია მთავრობის გადაბარების ამერიკული ტრადიცია. მინისტრები საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაამტკიცოს. ხანდახან ხდება, რომ კონგრესი წარდგენილ კანდიდატურებს არ ამტკიცებს, ამჯერად, ალბათ, ეს არ მოხდება, რადგან სენატშიც და წარმომადგენელთა პალატაშიც რესპუბლიკელებს უმრავლესობა აქვთ.

ინფორმაციამ უკვე გაჟონა, თუ ვინ მოხვდება საკვანძო თანამდებობებზე. ზოგი კანდიდატის გვარი უკვე დადასტურდა. ტრამპმა თეთრი სახლის აპარატის უფროსის სახელი გაამჟღავნა. თანამდებობას, ამერიკის ისტორიაში პირველად, ქალი, ტრამპის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი **სიუზი უაილსი** დაიკავებს. ის ვეტერანი პოლიტიკური სტრატეგია. სხვადასხვა დროს, ცნობილი რესპუბლიკელების კამპანიებს ხელმძღვანელობდა, მამა-ბუშის საარჩევნო შტაბში მუშაობდა, იყო ფლორიდის ცნობილი გუბერნატორის, რონ დესანტისის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი. მეტსახელად, ყინულის ქალწულს ეძახიან. უაილსი იმითაც გამოირჩევა, რომ ნაკლებად გაწონასწორებული ტრამპი მას უსმენს და უჯერებს. ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის პოსტზე კონგრესმენი **მაიკ უოლცია** წარდგენილი, რომელიც 2018 წელს აირჩიეს დეპუტატად. ის ამერიკის ისტორიაში პირველი კონგრესმენი მწვანე ბერეტია. მწვანე ბერეტები ამერიკის შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმელებს დაერქვათ, რომლებიც მტრის ზურგის სიღრმეში დივერსიის მოწყობაში არიან გაწაფულნი.

უოლცი არმიის პოლკოვნიკია, ავღანეთის ომის ვეტერანი. პენტაგონში მუშაობდა რამსფელდისა და გეიტსის დროს. უოლცი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ქორების ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ჩინეთისა და ირანის მიმართ ხისტი პოლიტიკის გატარებას ემხრობა. უკრაინის ომის დასაწყისში, უკრაინის დახმარების მომხრე იყო, თუმცა, მოგვიანებით, ტრამპის შეხედულებები გაიზიარა.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, CIA-ს დირექტორის თანამდებობაზე ტრამპმა მისი პრეზიდენტობის დროინდელი ეროვნული დაზვერვის ყოფილი დირექტორი **ჯონ რეტკლიფი** დაასახელა, რომელსაც ეს თანამდებობა მხოლოდ 6 თვით ეკავა. მას რესპუბლიკელები აუმხედრდნენ და გადადგომა მოუწია.

ტრამპმა გაკვირვება გამოიწვია თავდაცვის მინისტრის პოსტზე **პიტ ჰეგსეთის** წარდგენით. 44 წლის ჰეგსეთი კაბინეტის ყველაზე ნაკლებად გამოცდილი წევრი იქნება. ბრწყინვალე განათლება აქვს მიღებული პრინსტონის უნივერსიტეტში. მერე, ჯარში მსახურობდა გუანტანამოს ცნობილ ბაზაზე. იბრძოდა ერაყსა და ავღანეთში. სამხედრო სამსახურის შემდეგ, კერძო ბიზნესში მუშაობდა და აქტიურად მონაწილეობდა კონსერვატული პარტიის შეკრებებში. 2014 წლიდან, Fox-News-ში მუშაობს. ჰეგსეთი ამერიკული გენერალიტეტის მიმართ მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა.



**თეთრი სახლის აპარატის უფროსის თანამდებობას, ამერიკის ისტორიაში პირველად, ქალი, ტრამპის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი სიუზი უაილსი დაიკავებს.**

სწორედ, ამიტომ გაუკვირდათ მისი კანდიდატურა. ამერიკის სახელმწიფო მდივნის პოსტზე ტრამპი სენატორ **მარკო რუბიოს** განიხილავს. იგი 2011 წლიდან სენატორია. 2016 წელს, ტრამპის ოპონენტი და კრიტიკოსი იყო. მოგვიანებით, რუბიო ტრამპის ბანაკში გადავიდა. ცნობილია, როგორც ქორი, ანუ ხისტი პოლიტიკოსი, კონკრეტულად, კუბის, ირანისა და ჩინეთის მიმართ. ანტირუსულ იდეებს იზიარებს, მაგრამ, ბოლო დროს, უკრაინის საკითხში, ტრამპს დაუჭირა მხარი. ამერიკის ელჩი გაეროში ახალგაზრდა პოლიტიკოსი **ელის სტეფანიკი** იქნება. სტეფანიკი, როგორც ტრამპის კაბინეტის უმრავლესობა, ისრაელის მხარდამჭერი და ჩინეთის მოწინააღმდეგეა.

# გერმანიის მმართველი კოალიციის დაშლა ევროპას საფრთხეს უქმნის!

**მაშინ, როცა მსოფლიო ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო გაფაციცებული, გერმანიაში დრამატული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. გერმანიის მმართველი კოალიცია, რომელიც სამი პარტიის, სოციალისტების, ლიბერალებისა და მწვანეებისგან შედგებოდა, დაიშალა.**




ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ოლაფ შოლცმა საზოგადოებას ფინანსთა მინისტრის, ლიბერალების მეთაურის, ქრისტიან ლინდნერის თანამდებობიდან გათავისუფლება აცნობა. საპასუხოდ, ლიბერალებმა მმართველი კოალიცია დატოვეს. ბუნდეს კანცლერმა ლინდნერს საბოტაჟი დააბრალა. მედიაში ითქვა, რომ გერმანული პოლიტიკისთვის, კანცლერის მიერ მინისტრისა და კოალიციური პარტნიორის მიმართ ბრაზის ასე ღიად გამოხატვა უპრეცედენტოა, და თუ ეს საჯაროდ მოხდა, ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა. გერმანიის მმართველი კოალიციის დაშლას შეშფოთება მოჰყვა ევროკავშირში, სადაც შიშობენ, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა გერმანიაში, შესაძლოა, ევროპის დასუსტება გამოიწვიოს. ევროპა ვერ იქნება ძლიერი გერმანიის გარეშე. ასეთი კომენტარი გააკეთა ევროპარლამენტის ხელმძღვანელმა **როზერტა მეცოლამ**, რომლის აზრს, თითქმის მთელი ევროკავშირი იზიარებს.

2021 წელს შექმნილ გერმანულ მმართველ კოალიციას, მასში შემავალი პარტიების წითელ, ყვითელ და მწვანე ფერთა გამო, შუქნიშანი ეწოდა. გერმანიის ისტორიაში, ეს იყო პირველი სამპარტიული კოალიცია, რომლის სიცოცხლისუნარიანობას იმთავითვე სკეპტიკურად უყურებდნენ ექსპერტები, რადგან მათ მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ: მწვანეებს მწვანე ენერგიის პოლიტიკის გატარება სურდათ; სოციალისტებს – მეტი სოციალური პოლიტიკა; ლიბერალებს კი – გერმანული ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება. და მაინც, კომპრომისის პრინციპზე აგებული კოალიცია საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, კოალიციური მთავრობა მასშტაბური გამოწვევების წინაშე დადგა: კოვიდ-პანდემიის გაჭიანურება, რუსეთის უკრაინაში შეჭრა და გაზისა და ნავთობის მიწოდების შეფერხება, რომელმაც გერმანია ენერგოკრიზისის წინაშე დააყენა. ამ გამოწვევათა დაძლევისას, პარტიებს შორის არაერთი უთანხმოება წარმოიშვა და კოალიციას ბზარები გაუჩნდა, რაც, ყველაზე მეტად, გერმანიის სამ რეგიონში ჩატარებული არჩევნების დროს გამოაშკარავდა.

არჩევნებმა აჩვენა, რომ მოსახლეობა კოალიციას დასანახად ვეღარ იტანდა. უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ფასების ზრდა და არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობის უპრეცედენტო მატება იყო. პრობლემების დასაძლევად, კოალიცია პოლიტიკის ცვლილებაზე წავიდა, მაგრამ კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა.

გაჩნდა კოალიციის დაშლის საყოველთაო მოლოდინი, და 6 ნოემბერს მართლაც ასე მოხდა. გერმანიის კონსტიტუციაში, ზუსტადაა გაწერილი კოალიციის დაშლის მომდევნო სამთავრობო ნაბიჯები. უპირველეს ყოვლისა, პარლამენტში მთავრობის მიმართ ნდობის საკითხი დადგება, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, უმრავლესობის დაკარგვის გამო, მთავრობის გადარჩევას ნიშნავს. ამის შემდეგ, ქვეყნის პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს გამოაცხადებს. მასმედიის ცნობით, გერმანიის პრეზიდენტი, ალბათ, 23 თებერვალს დანიშნავს ახალ არჩევნებს, რითაც მაგრად გაიხარებს ოპოზიაცია, პირველ რიგში კი, ქრისტიან-დემოკრატები და მისი ლიდერი ფრიდრიხ მერცი. სპეციალისტები სწორედ მერცს უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას და კანცლერის პოსტის დაკავებას. მასმედიის პროგნოზით, ოლაფ შოლცს პენსიაზე მოუწევს გასვლა. პარტიის ლიდერი კი, თავდაცვის ახლანდელი მინისტრი, პისტორიუსი გახდება.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# მეფეთ-მეფე ერეკლე II

## მნიშვნელოვანი გამოცემა



**ქართულ მეცნიერებაში არის გარკვეული ტრადიცია ისტორიული საბუთების, სამართლის ძეგლების, სხვადასხვა სახის საარქივო მასალის გამოცემისა. ყოველივე ეს ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად უმნიშვნელოვანესია წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით. თანაც, როცა ესა თუ ის საბუთი დათარიღებულია, შემკულია სიუზერენის ხელრთვით და კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის ასახვით, ფრიად სანდოა მკვლევარისათვის. მნიშვნელოვანი ისტორიული საბუთები გამოსცეს ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, თედო ჟორდანიამ, ივანე ჯავახიშვილმა. ეს საქმე უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ უკანასკნელი პერიოდის მკვლევართაც: ისიდორე დოლიძე, ნოდარ შოშიაშვილი, თინა ენუქიძე, ვალერი სილოგავა და ახალგაზრდა თაობის სხვა წარმომადგენლებმა არაერთი მნიშვნელოვანი წერილობითი, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური თუ სხვა მასალა გამოსცეს.**

უაღრესად მნიშვნელოვანია ერეკლე II-ის ირგვლივ არსებული საბუთების – სიგელების, წერილების, ბრძანებებისა და სხვა საკმაოდ უხვად არსებული მასალის (საბუთების) შეკრება, შესწავლა და სათანადო კომენტარით მათი გამოცემა. დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას, ისიდორე დოლიძის და სხვათა მიერ. ამჯერად ეს საქმე იტვირთა ბატონმა **იოსებ ბიჭიკაშვილმა** და უსათუოდ დიდი შრომა გასწია ერეკლე II-ის მიერ შექმნილი, თუ დიდი მეფის შესახებ არსებული უხვი მასალის შეკრებისა და სამეცნიერო ჩარჩოებში მოქცევისათვის.

წინამდებარე გამოცემაში მოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს ჩვენში არსებული სამართლებრივი კულტურის რთულ, ამასთან მაღალ დონეზე. საქმე გვაქვს თეიმურაზ II-ის, ალექსანდრე III-ის, დავით II-ის და, რაც ძირითადია, ერეკლე II-ის ხელრთვით დამოწმებულ დოკუმენტებთან. წარმოდგენილი საბუთები მრავალფეროვანია. მეფეები ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე (პრობლემაზე) საბუთებს დიფერენცირებულად (სხვადასხვა სახელწოდებით) გამოსცემდნენ. ასე მაგალითად, გამოცემულ დოკუმენტთა შორის გვხვდება: **წყალობის წიგნი, სიგელი, სითარხნის წიგნი, ბრძანება, შეწირულების წიგნი, განჩინება, არზა, საფიცრის წიგნი და სხვ.**

მეტად საინტერესოა ხელრთვასთან ერთად გაკეთებული მეფეთა ტიტულატურები. დოკუმენტების გამოცემის შემთხვევაში უპირატესად ესაა არსებული სამეფო ბეჭდის წარწერები. მოვიტანოთ ზოგიერთ მათგანს.

კახეთის მეფე კონსტანტინე II (1722-1733 წწ.) ალიყულიბეგ გარაყანიძისადმი გაცემულ სიგელში თავს ასე მოიხსენიებს: „ქ. ჩუენ ღვთივაღმატებულმან, სკიპტროსანპორფიროსანმა, ღვთივ ზეცით გვირგვინოსანმა იესიან – დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან დიდისა და მათგანვე გახელმწიფებულმან კახეთის, შამშადლუსი და ყაზახის მპყრობელ-მქონებელმა მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმა კონსტანტინემ...“ და ა.შ. დოკუმენტზე ორი ბეჭედია წარწერით: 1. მეფე კონსტანტინე; 2. დედოფალი ფერიჯაჰან (მეფე კონსტანტინეს თანამეცხედრე). კონსტანტინე II-ის სხვა საბუთზე („მამულის წყალობის წიგნი მაყა მაყაშვილისათვის“) სამი ბეჭედია დასმული: 1. მეფე კონსტანტინე; 2. დედოფალი ფერიჯაჰან; 3. თეიმურაზ“ (თვით საბუთში მოხსენიებულია: „უფლისწულმან, ძმამან ჩვენმან, ბატონიშვილმა პატრონმან თეიმურაზ“). 1723 წელს კონსტანტინე II-ის (საბუთში მაჰმად-ყულიხანადაცაა მოხსენიებული) მიერ ელიზბარ ყაფლანიშვილისადმი გაცემული „წყალობის წიგნში“ „წყალობის“ გამცემთა შორის ერეკლე II-ცაა მოხსენიებული. წინამდებარე ტომში გამოქვეყნებულია კახეთის მეფის ალექსანდრე III-ის მიერ გივი ვაჩნაძისადმი გაცემული წყალობის წიგნი, რომელსაც ორი ბეჭედი უზის მეტად საინტერესო ზედწერილებით: 1. „ვარ მოდგმით დავითიანი, ალექსანდრე ვარ სვიანი“; 2. „ქრისტეს მხევლად ვარ დედოფლობით, მას ვადიდებ... ფლობით მარიამ“.

**თეიმურაზ II-ის მიერ გამოცემულ საბუთებში დიდი პატივით მოიხსენიება ერეკლე.** ასე მაგალითად, 1736 წელს თეიმურაზისაგან გაცემულ „აზატობის განახლების წიგნში“ (გიორგი პაჭიჭაშვილისადმი) ვკითხულობთ: „ქ... ჩუენ ღვთივ-აღმატებულმან, ღვთიმდამყარებულმან და ღვთივ ზეცით გვირგვი-


„ბაგრატოვანთა სახლი“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ხელნაწერთა ცენტრი

მეფეთ-მეფე ერეკლე მეორე

დოკუმენტური წყაროები (სიგელები, არზები, განჩინებები, ბრძანებები, წერილები და სხვა საბუთები)

1722-1746

ტომი I

საბუთების ტექსტები მოამზადა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო იოსებ ბიჭიკაშვილმა

თბილისი
2022

ნოსანმან იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან და თვით ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან ქართველთ მეფისა ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარმან და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმა პატრონმან ერეკლემ...“ და ა.შ.

დოკუმენტს ორი ბეჭედი უზის: 1. „თეიმურაზ“; 2. „ასულო ჩემო დავით მრქვა, შენ იყავ ჩემი ამარი, ვახტანგ მეფის ასული და დედოფალი თამარი“. 1744-45 წლებს შორის თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-მ კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-სთან ერთად გამოსცეს „განჩინება თავად გიორგისა და თამარის უხვედრო ქორწინების გამო“.

ეს დოკუმენტი თავის დროზე გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ისიდორე დოლიძემ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV). „განჩინება“ გვაუწყებს, რომ მეფეებსა და პატრიარქს დაუსჯიათ, „სამართალმოციქულთა მიერ განჩინებისა“. მიზეზი ისაა, რომ ქორწინება „უსჯულოებით“ ყოფილა („რამეთუ უხვედრისა თანა ნათესავისა იქორწინა“). გარდა იმისა, რომ საბუთი მრავალმხრივ საინტერესოა ისტორიისათვის, მნიშვნელოვანია ფორმითაც. დოკუმენტი დამოწმებულია ხელრთვებით: 1. „მეფე თეიმურაზ“, 2. კათალიკოსი, 3. ერეკლე. უზის ორი ბეჭედი: 1. „ქ. დავითის ტომად, მკუიდრ ტახტზე მჯდომად მყო საქართველოს ღ“ნ ცხებულად, მეფე თეიმურაზ“, 2. „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე“.

საინტერესოა „არზის“ სახეთ თამაზა თურქესტანიშვილის თხოვნა ერეკლე II-ისადმი, რომ მას მამულს (ზოგი სამკვიდრო და ზოგი ნასყიდი) ართმევდნენ და გადასახადსაც (მალსაც) სთხოვდნენ. სამართალი მაღირსეთო – ითხოვდა არზის ავტორი. აღნიშნულ თხოვნაზე ადრესატს მეფემ ოქმით დამოწმებული პასუხი გაუგზავნა, სადაც საგანგებოდაა მითითებული, რომ თურქესტანიშვილის მამულთან „ხელი არავის აქვს“.

ტომში დაბეჭდილია ერეკლე II-ის სხვადასხვა შინაარსის ბრძანებები, რომელშიც ძლიერი, თანაც სამართლიანი ხალხისადმი კეთილგანწყობილი მეფე ჩანს. საინტერესოა, რომ ერეკლე II-ის ბეჭდის წარწერა ზოგ დოკუმენტზე განსხვავებულია. 1750 წელს გაცემულ ყმების ნასყიდობის წიგნის ბოლოში დასმულ სამეფო ბეჭედს ასეთი წარწერა აქვს: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე“.

როგორც ჩანს ბეჭდის ზედწერილის შინაარსს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ერთ-ერთ „წყალობის წიგნზე“ (გაცემულია გიორგი მირზაშვილისათვის) ერეკლე II-სთან ერთად მისი „პირმშო და სასულიერო ძე“ ვახტანგიც სვამს ბეჭედს წარწერით: **„დავითიანი ტომობით, ვახტანგ ვარ უფლისწულობით“.**

წიგნში დაბეჭდილია საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წერილები სხვადასხვა კუთხეების თუ ქვეყნების თავკაცებისადმი, ნათესავ-ახლობლებისადმი. აქ არის საბუთი ისეთ კონკრეტულ საკითხზე, როგორიცაა კახეთის ბაჟების გარიგება და მათი განაწილება ბატონსა, მოურავსა თუ სხვა მოხელეთა შორის, რომელსაც ამტკიცებს ერეკლე II.

**მნიშვნელოვანია ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის „განჩინება (1767-1768 წწ.), რომელიც წარმოადგენს ნორმატიულ აქტს შელახული სარწუნოებისა და ეკლესიის მოშლილი საქმეების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე ზოგიერთი სარწმუნოებრივი და სქესობრივი დანაშაულის აღსაკვეთად. „განჩინებიდან“ ჩანს, რომ საეკლესიო ცხოვრებაში ბევრი უარყოფითია და იგი ავალდებულებს სათანადო პირებს, რომ ყურადღება მიაქციონ საეკლესიო პირთა და მრევლის სწავლებას, მათ კვალიფიკაციას, ეკლესიის მოწყობილობის მოვლა-პატრონობას, საეკლესიო ქონების გაუსხვისებლობას, „ნათლისღების“ შესრულებას, კვირა-უქმის შენახვას. „განაჩენით“ იკრძალება ჯერ კიდევ შემორჩენილი ქრისტიანობამდელი კულტების თაყვანისცემა, მისნობა-მწვალებლობა და მამათმავლობა. „განაჩენში“ ხაზგასმულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ქართული სამართალთათვის უჩვეულო სასჯელი – წამებით სიკვდილი.**

**მეტად შთამბეჭდავია ერეკლე II-ის „მადლობის წერილი“ (1749 წ.) ერთ-ერთი დიდი ვეზირისადმი[1], თურქეთში გაყიდული ქართველი ქალ-ვაჟის გამოსყიდვისა და საქართველოში დაბრუნების გამო. მადლიერებასთან ერთად ერეკლე II ვეზირს „ქებით მოსახსენებელ ძმას“ უწოდებს. ეს წერილი ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში ინახება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საბუთი ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს გამოჩენილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს, პროფესორ ნოდარ შენგელიას (1978 წელს). ბევრ საბუთში მითითებულია მისი დამწერიც (შემსრულებელი). ასე მაგალითად, „ ბრძანება... დაიწერა თანადგომითა და შეწევნითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის ბურგენისათა“ (1722 წ., „მამულის წყალობის წიგნი“ მაყა მაყაშვილისათვის); ან „დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე აპრილის კ (20), ქორონიკონს უიბ (1742 წ.) ხელითა კარისა ჩვენისა მდივნის დავითისათა“ მოურავობის წყალობის წიგნი“ საზვერელ ჩოლოყაშვილისადმი).**

ერეკლე II-ის მიერ გამოცემული ბრძანებები სადავო საკითხების გადაჭრასაც ეხება. მაგალითად, ბრძანება ერეკლე II-ისა კახეთის ეპისკოპოსისადმი ალავერდელსა და ნეკრესელს შორის ენისელის გამო დავის გარიგების შესახებ (1752 წ.); „განაჩენი ჩრდილელ ჩრდილელიშვილისა და ღუდუშაურის შესახებ“, რომლის ძალითაც ჩრდილელიშვილზე „ხელი აღებინეს“ (იგი მართლად ჩაითვალა) ღუდუშაურს (1752 წ.).

ტომში წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა მკვლევარმა სრული

1 დასახელებული დიდი ვეზირია სეიდ აბდულა-ფაშა (1747-1750 წწ.).





წარმოდგენა იქონიოს ეპოქაზე, სოციალურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებზე, მეფის მიერ გადადგმულ სერიოზულ, პრაქტიკულ ნაბიჯებზე. არ არის შემთხვევითი, რომ უდიდესი ყურადღება ექცევა ისტორიული წყაროების გამოვლენას, კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას, შესაბამისად, გამოცემის მეთოდიკას. ისტორიული წყაროთმცოდნეობითი მიმართულებებიდან (არქივმცოდნეობა, არქეოგრაფია, გენეალოგია, პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა, ჰერალდიკა და სხვ.) გამოკვეთილია ეპიგრაფიკა და დიპლომატიკა. ეს უკანასკნელი წყაროთმცოდნეობის ნაწილია, რომელიც იკვლევს საბუთების (ფაქტების) ფორმასა და შინაარსს, გარეგნულ თავისებურებას. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ არსებობდა ნატყუარი საბუთები [(კახთა მეფის ალექსანდრეს (1476-1511 წწ.) სიგელი).

ამდენად საჭიროდ ითვლებოდა ყოველი დოკუმენტის კრიტიკული შესწავლა.

XVI-XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯართა დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბაგრატიონმა (ფაქტობრივად ეს იყო ქართული დიპლომატიკის საწყისი). ისტორიული საბუთების გამოცემებმა **(ა. ხახანაშვილი, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, დ. ბაქრაძე, ს. კაკაბაძე)** საფუძველი მოუმზადა მათ კვლევასა და მეცნიერული დიპლომატიკის განვითარებას. განსაკუთრებული მოვლენა იყო **ივანე ჯავახიშვილის** ფუნდამენტური მონოგრაფიის „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (1925 წ.) გამოსვლა. **ნიკო ბერძენიშვილმა** შეისწავლა რამდენიმე დიპლომატიური ტერმინი (სიგელი, წერილი, წიგნი).

დიპლომატიკის პრობლემებზე სხვა მკვლევარებიც მუშაობდნენ.

წინამდებარე „ექვსტომეულში“ გათვალისწინებულია სამი ათასამდე დოკუმენტის წარმოჩენა. აქედან პირველ ტომში ფაქტობრივად თავმოყრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოცემებში, სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული, სხვადასხვა (როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთისაც) არქივებში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, თუ ბიბლიოთეკებში დაუნჯებული ერეკლე II-ის ეპოქის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები. თავისთავად მნიშვნელოვანია ყველა მათგანის თავმოყრილად, სათანადო კომენტარებით მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის. სათანადო მასალების (დოკუმენტების) მოწოდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულმა არქივმა **(თეონა იაშვილი)**, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა **(თინათინ სოსანიძე, ეკატერინე ილარიშვილი)**, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა (**ომარ ლანჩავა, ციცინო მუმლაძე**), თელავის ისტორიულმა მუზეუმმა **(გურამ ურჩეხაშვილი)**.

ვფიქრობთ, დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის ერეკლე II-ის (პირადად), თუ მის და მისი ეპოქის ირგვლივ არსებული (გაცემული) სხვადასხვა დოკუმენტები (ბრძანებები, განჩინებები, არზები, სხვადასხვა სახის წერილები), რომლებიც დაფუძნებულია საარქივო თუ სხვა წერილობითი წყაროების ცნობებსა და მრავალგვარი (სხვადასხვაენოვანი) ლიტერატურის მონაცემებზე, ამასთან განლაგებულია ქრონოლოგიურად (ი. ბიჭიკაშვილის დიდი მცდელობის შედეგად), უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის საბუთების (წყაროების) სრული კორპუსი, რომელიც საჭიროა, როგორც დაინტერესებული მეცნიერებისათვის, ისე მკითხველი ქართველი საზოგადოებისათვის. ერეკლე II და მისი ეპოქაც რამდენადმე შესწავლილია. აღნიშნულ გამოცემას (აქ მოცემულ უხვ მასალას) აღნიშნული პრობლემის შესახებ ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება შეუძლია – შესაძლებელია ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი ეპოქის, კიდევ უფრო ღრმად შესწავლა.

**როინ მეტრეველი,**
აკადემიკოსი.

# ვატიკანში მიკვლეულია არმენული ანბანის გამომგონებლის უცნობი ფრესკა






**ესპანეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერების ზურაბ, ლია და მაია კაცელაშვილების მიერ ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში მიკვლეულია არმენოლოგიაში დღემდე უცნობი მე–16 საუკუნის ფრესკა წმინდა იოანე ოქროპირისა, რომელზეც ის წარმოდგენილია როგორც არმენული დამწერლობის გამომგონებელი.**




ფრესკაზე წმ. იოანე ოქროპირი გამოსახულია არმენი ეპისკოპოსის სამოსელით და გრაგნილით ხელში, რომელზეც არმენულად დაწერილია საკვირაო ლოცვა. ფრესკის ლათინური წარწერა გვამცნობს: „**Sancto Ioanne Chrysostomo Litterarum Armenicarum Auctor**“ (ლათ. „წმინდა იოანე ოქროპირი არმენული ანბანის ავტორი“).

ამ ფრესკის და არმენული ანბანის შექმნის ისტორია, ასევე ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხი განხილულია ესპანეთში გამოცემულ წიგნში: „წმინდა იოანე ოქროპირი არმენული დამწერლობის ავტორი“ (**Zurab Katselashvili Basilidze; Lia Katselashvili y Maia Katselashvili, San Juan Crisóstomo autor del alfabeto armenio, Editorial: viveLibro, Madrid, 2023. ISBN papel: 978-84-19845-34-4; Depósito legal: M-23699-2023**).

ნაშრომს ახლავს დანართი „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“: არმენთა და ბასკთა მონათესაობის საკითხი; ბასკების ფიზიონომია ვ. ფ. ჰუმბოლდტის მიხედვით; ბასკური რასა; იბერია და იბერიზმი; კოლხები ილირიაში და მათ მიერ იქ დაარსებული ქალაქები პოლა, ორიკო და ორკინიო; ბაკურ დიდი და ბაკურ მცირე პალესტინა-იერუსალიმის პირველი ქრისტიანი მმართველები; წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის მიზეზი; უცნობი ძველი ქართული საგალობელი „კურთხეულ იყოს“ ბიზანტიურ ლიტურგიაში.

**P.S.** *ზემოდასახელებული წიგნის შეძენის მსურველებს შეგიძლიათ დაკავშირება ავტორებთან „ფეისბუქის“ გვერდით – Zurab Katselashvili.*
*ტელ.: 551-022-878*
*ელ. ფოსტა (e-mail): avnevi53@gmail.com; Zemali22@hotmail.com*
*წიგნის ფასია: 120 ლარი (ღირებულებაში შედის წიგნის მიწოდების სერვისიც).*

# ქართული სცენოგრაფიის ფუძემდებელი

## კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოჩენილი მხატვრის ირაკლი გამრეკელის წიგნ-ალბომი და კრებული გამოიცა



**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოჩენილი მხატვრის ირაკლი გამრეკელის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნ-ალბომი და კრებული გამოიცა.**

„რუსთაველის ეროვნულ თეატრში გაიმართა პრეზენტაცია კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული საიუბილეო წიგნ-ალბომისა „ირაკლი გამრეკელი“ და მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა და პუბლიკაციების კრებულისა „ირაკლი გამრეკელი. კრებული“.

პრეზენტაციაზე გამოიფინა ირაკლი გამრეკელის ის ნამუშევრები, რომლებიც რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმშია დაცული.

გამოჩენილი მხატვრის, ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ირაკლი გამრეკელის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნ-ალბომისა და კრებულის მიზანია პროფესიული წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობა.

საიუბილეო წიგნ-ალბომისა და კრებულის გამოცემის იდეისა და კონცეფციის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ხათუნა კიკვაძე, ფოტოგრაფია ირინე აბჟანდაძე, დიზაინერი – ოლღა პირადოვა, მთარგმნელი – ხელოვნებათმცოდნე ვიქტორია პირადოვა, რედაქტორი – ანანო მირიანაშვილი. კრებული გამოსაცემად მოამზადეს ქეთა მამესწარაშვილმა და ქრისტინე შუკვანმა. წიგნები დაბეჭდა შპს „სეზან ფაბლიშინგმა“.






## შეშლილი მსოფლიო

### რუსეთი ავსტრიას გაზის მიწოდებას უჭრებს... ჩეხეთი კი კვლავ რუსულ გაზს უბრუნდება




**რუსეთი ავსტრიას გაზის მიწოდებას უჭრებს. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს. ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ გაზის მიწოდების შეჩერება ავსტრიაში ენერგეტიკულ კრიზისს გამოიწვევს, სპეციალისტების მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ რუსეთის მიერ გაზის მიწოდების შეჩერება ქვეყნის მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნის, რადგან გაზის მიწოდება ავსტრიისთვის მოხდება გერმანიიდან, იტალიიდან და ნიდერლანდებიდან.**

„ეს ნიშნავს იმას, რომ მოხდა ის, რისთვისაც უკრაინაში ომის დაწყებიდან ვემზადებით. ჩვენ ასევე ვაჩვენებთ, რომ არ დავემორჩილებით პუტინის შანტაჟს“, – აღნიშნა ავსტრიის კანცლერმა.

ამის პარალელურად, ჩეხები რუსულ გაზს უბრუნდებიან – ამის შესახებ გამოცემა ბლუმბერგი“ წერს. მიზეზი ალტერნატიული გაზის მაღალი ფასია.

### გაანადგურეს ირანის ბირთვული კვლევის ცენტრი

**ოქტომბრის ბოლოს ირანის ტერიტორიაზე განხორციელებული დარტყმებისას ისრაელმა ბირთვული იარაღის კვლევის ირანული ცენტრი გაანადგურა, – იუწყება Axios-ი ამერიკელ და ებრაელ მოქმედ და ყოფილ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით.**

მისივე ინფორმაციით, მართალია, ისრაელს პირობა ჰქონდა დადებული, რომ ბირთვულ ცენტრებს არ დაარტყამდა, მაგრამ კონკრეტულად ამ ცენტრის შესახებ ცოტასთვის თუ იყო ცნობილი, მათ შორის – თავად ირანის ხელისუფლებაშიც.

ცენტრი „თალეგან-2“-ი თეირანიდან 30 კმ-ში, სამხედრო კომპლექს „ფარჩინში“ მდებარეობდა. ბოლო დრომდე იგი უმოქმედოდ ითვლებოდა, თუმცა ბოლო წლის განმავლობაში მასში ბირთვული იარაღის დარგში კვლევები განახლდა.

თანამგზავრული ფოტოები ცენტრის შენობის პრაქტიკულად სრულად განადგურებას მოწმობს.



### ხანძარი ინდოეთის საავადმყოფოში

**ჩრდილოეთ ინდოეთში, საავადმყოფოში გაჩენილ ხანძარს 10 ახალშობილი ემსხვერპლა, 16 კი დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას The Guardian-ი ავრცელებს.**

ხანძარი ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაჩნდა.

ოფიციალური პირების განცხადებით, ხანძარი სწრაფად გავრცელდა პალატაში, სადაც 55 ჩვილი მკურნალობდა.

ხანძრის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.



## მედიცინის საოცრებები

### მეცნიერებმა ღორის ტვინი სიკვდილიდან ერთი საათის შემდეგ გააცოცხლეს



**ჩინელმა მეცნიერებმა ღორის ტვინის აქტივობა ცირკულაციის შეწყვეტიდან თითქმის ერთი საათის შემდეგ ხელახლა გააცოცხლეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ფუნქციონირება საათობით შეინარჩუნეს.**

მიღწევა წარმოადგენს უზარმაზარ ნაბიჯს იმის გასარკვევად, თუ როგორ მოხდეს თავის ტვინის ფუნქციის აღდგენა პაციენტებში გულის უცაბედად გაჩერების შემდეგ. აღმოჩენა მიუთითებს, რომ ექიმებს შეიძლება დროის უფრო დიდი ფანჯარა მიეცეთ გულის გაჩერების შემდეგ პაციენტის ორგანიზმის წარმატებით გასაცოცხლებლად (რეანიმაცია).

როგორ მოხერხდა? პაციენტის დაუზიანებელი ღვიძლის (ორგანო, რომელსაც სხეული სისხლის გასაწმენდად იყენებს) ჩართვით სიცოცხლის მხარდამჭერ იმ სისტემაში, რომელსაც დროის გასვლის შემდეგ ტვინის გამოსაცოცხლებლად იყენებენ.

გულის უცაბედი გაჩერება სხეულში ბევრ პრობლემას იწვევს, რადგან ამ დროს წყდება სისხლის მიმოქცევა. ამის შედეგად სხეულის ნაწილებში ცირკულირებაში გამოწვეულ ვარდნას იშემიას უწოდებენ და როდესაც ეს თავის ტვინში ხდება, შეიძლება სულ რამდენიმე წუთში გამოიწვიოს სერიოზული, გამოუსწორებელი დაზიანება. სწორედ ამიტომ არის გულის გაჩერების შემდეგ ტვინის გაცოცხლების დროის ფანჯარა ასეთი ხანმოკლე.

ბოლო წლებში, თავის ტვინის დაზიანებათა შესაზღუდად, მეცნიერები მოდელად ღორებს იყენებენ. ჩინეთის სან იატ-სენის უნივერსიტეტის მკვლევრებმა სიაუშენ ჰეს ხელმძღვანელობით, ღორზე ცდებით გადაწყვიტეს გაერკვიათ ღვიძლის როლი გულის გაჩერებით გამოწვეული იშემიის შემდეგ ტვინის აღდგენაში.

ლაბორატორიაში გაზრდილი 17 ტიბეტური მინიღორის გამოყენებით, ჯგუფმა შეადარა ღვიძლის ჩართულობა სისხლის მიმოქცევის შეჩერებაში. ექსპერიმენტთა ერთ სერიაში, თავის ტვინის 30-წუთიანი იშემიის ქვეშ ღორების ორი ჯგუფი მოაქციეს; ერთ-ერთი ჯგუფი ღვიძლის იშემიის ქვეშაც მოაქციეს, მეორე კი არა. ამასობაში, საკონტროლო ჯგუფს იშემია არ გადაუტანია.

როდესაც ღორებს ევთანაზია გაუკეთეს და მათი თავის ტვინი შეისწავლეს, საკონტროლო ჯგუფს ტვინის ყველაზე ნაკლები დაზიანება ჰქონდა; მაგრამ ჯგუფს, რომელსაც ღვიძლის იშემია არ გადაუტანია, თავის ტვინის მნიშვნელოვნად ნაკლები დაზიანება აღენიშნებოდა, ვიდრე ღვიძლის იშემიის გადატანილ ჯგუფს.

კვლევის შემდეგი ეტაპი მოიცავდა დაუზიანებელი ღვიძლის ჩართვის მცდელობას სიცოცხლის მხარდამჭერ სისტემაში, ევთანაზირებული ღორიდან მთლიანად ამოღებული თავის ტვინის გასაცოცხლებლად. ამ სცენარით ადამიანთა მკურნალობა გამორიცხულია, მაგრამ ასეთი ცდა მეცნიერებს ეხმარება დროის იმ ფანჯრის შესწავლაში, რომელშიც შესაძლებელია ტვინის გაცოცხლება.

ჯგუფმა ექსპერიმენტი ჩაატარა სხვადასხვა ვადებზეც - ღვიძლით მხარდაჭერილ სისტემაში ტვინი ჩართო 30-წუთიან, 50-წუთიან, 60-წუთიან და 240-წუთიანი ინტერვალებით. ყველაზე გრძელი ინტერვალი, რომელმაც ყველაზე იმედის მომცემი შედეგი აჩვენა, იყო 50 წუთი სისხლის მიმოქცევის შეჩერების შემდეგ — ტვინმა განაახლა ელექტრული აქტივობა და ეს მდგომარეობა ექვსი საათის განმავლობაში შეინარჩუნა, იქამდე, ვიდრე ექსპერიმენტი არ გამორთეს.

მნიშვნელოვანია, რომ ტვინში, რომელსაც ჟანგბადი 60 წუთის განმავლობაში არ მიეწოდებოდა, აქტივობა მხოლოდ სამი საათით დაბრუნდა და შემდეგ შეწყდა; ეს კი მიუთითებს იმ კრიტიკულ ინტერვალზე, რომელშიც გაცოცხლება შეიძლება წარმატებული იყოს ღვიძლის ფუნქციის დამატებით.

მკვლევართა განცხადებით, ასეთი შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ღვიძლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გულის გაჩერებით გამოწვეულ ტვინის დაზიანების განვითარებაში.

### ულტრამგრძნობიარე სენსორი

**სიმსივნის დროული დიაგნოსტირება მნიშვნელოვანია, რისთვისაც მეცნიერები ეფექტიან გზებს ეძებენ. მაგალითად, ჩინეთში მდებარე ჯეძიანის უნივერსიტეტში მომუშავე სპეციალისტებმა ულტრამგრძნობიარე სენსორი შექმნეს, რომელსაც ფილტვის სიმსივნის იდენტიფიცირება მხოლოდ ადამიანის ამონასუნთქზე დაკვირვებით შეუძლია.**

მოწყობილობის პროტოტიპის მცირე მასშტაბიანმა გამოცდამ აჩვენა, რომ მან 8 ჯანმრთელ და 5 დაავადებულ ადამიანს შორის სხვაობა წარმატებით გამოავლინა. ამას ის ამონასუნთქში ორგანულ ნაერთ იზოპრენზე დაკვირვებით ახერხებს, რომ-



ლის დაბალი კონცენტრაციაც ფილტვის სიმსივნის პოტენციურ ინდიკატორად მიიჩნევა.

ულტრამგრძნობიარე სენსორის შესაქმნელად მეცნიერებმა ე.წ. ნანოფანტელები გამოიყენეს. ისინი პლატინის, ინდიუმის, ნიკელისა და ჟანგბადის კომბინაციით მიიღეს. როცა იზოპრენი ამ მატერიას ეხება, ელექტრონები გამოიყოფა, რაც დაფიქსირებადია.

ასეთ სენსორს მილიარდი მოლეკულიდან იზოპრენის მხოლოდ 2 მოლეკულის გამოვლენაც კი შეუძლია. ცდაში მონაწილე დაავადებულ ადამიანებში ეს მაჩვენებელი 40-ზე ნაკლები იყო, ჯანმრთელებში კი 60-ს აღემატებოდა.

მართალია, ეს ტექნოლოგია იმედის მომცემია, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ მის კომერციალიზაციამდე დამატებითი კვლევები უნდა ჩატარდეს.

### ალცჰაიმერის დაავადების რისკები



**ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ალცჰაიმერის დაავადების რისკის მქონე ადამიანებს სივრცითი ნავიგაცია დარღვეული აქვთ სიმპტომების გამოვლენამდე დიდი ხნით ადრე.**

ექსპერიმენტში მონაწილეობდა 43-დან 66 წლამდე ასაკის 100 ადამიანი, რომლებსაც არ ჰქონდათ დემენციის სიმპტომები. მოხალისეებს ჰქონდათ ალცჰაიმერის დაავადების გაზრდილი რისკი APOE-ε4 გენის ვარიანტის არსებობის, ალცჰაიმერის დაავადების ოჯახური ისტორიის ან ცხოვრების სტილის რისკ-ფაქტორების გამო, როგორიცაა ფიზიკური აქტივობის დაბალი დონე. საშუალოდ, მონაწილეები დემენციის დაწყების სავარაუდო ასაკზე დაახლოებით 25 წლით ახალგაზრდები იყვნენ.

მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ალცჰაიმერის დაავადების განვითარების გაზრდილი რისკის მქონე ადამიანები, განურჩევლად რისკ-ფაქტორისა, ვირტუალურ რეალობაში სივრცითი ნავიგაციის ამოცანას შერჩევითად ვერ უმკლავდებოდნენ სხვა კოგნიტურ ტესტებში შესაბამისი გაუარესების გარეშე. შედეგები ვარაუდობს, რომ კოგნიტური დაქვეითება შეიძლება იყოს დაავადების ადრეული ნიშანი, სხვა სიმპტომების გამოვლენამდე წლების ან თუნდაც ათწლეულების განმავლობაში.

ვარაუდობენ, რომ დღეს დაბადებული ყოველი სამიდან ერთ ადამიანს განუვითარდება დემენცია, ამიტომ მდგომარეობის ადრეული და ზუსტი დიაგნოზი მნიშვნელოვანია პრევენციული ზომების მისაღებად და შესაბამისი მკურნალობის დასაწყებად.

# მთაწმინდის ფერდობის გამწვანებას 22 მილიონი ლარი მოხმარდება



**პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა 16 დეკემბერს დეპუტატებთან ერთად მთაწმინდის ფერდობის გამწვანებით სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა. პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, პარლამენტის წევრებმა მთაწმინდის ფერდობზე სხვადასხვა ჯიშის ნერგები დარგეს.**

„პროექტი მოიცავს 700 ჰექტარამდე ტერიტორიას. მოიჭრა გამხმარი ხეები და ეტაპობრივად მიმდინარეობს ახალი ნერგებით შევსება. დღეისთვის დარგულია 150 ათასამდე ახალი ნარგავი, რომელთა რაოდენობა წლის ბოლომდე 200 ათასს მიაღწევს. პროექტი საერთო ჯამში 700 ათასი ახალი ნერგის დარგვას ითვალისწინებს.

ასევე შეიქმნა მცირე ინფრასტრუქტურა, რეაბილიტირებულია 20 კმ-მდე ტურისტული ბილიკი, მონტაჟდება ძელსკამები, ეწყობა თბილისზე გადმოსახედები, მთაწმინდის ფერდობის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტს ფონდი „ქართუ“ ახორციელებს და მისი ღირებულება 22 მილიონ ლარამდეა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# მარტვილში გზების განახლება მიმდინარეობს



**მარტვილის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურ რეჟიმში გრძელდება. ინფორმაციას მარტვილის მერია ავრცელებს.**

მათი ცნობით, ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლეკეკელეში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარი იგება. პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარით მოეწყობა 1 300 მეტრი საავტომობილო გზა. მოწესრიგდება გზის გვერდულები.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ, მერის მოადგილესთან გივი ელიავასთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 318 888 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოების შპს „მარტვილავტოგზა“ ასრულებს.

ბანძაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

# ჭადრაკის სასახლის აღდგენისთვის 34 მლნ-ის დახარჯვა იგეგმება

**თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობის რეაბილიტაციაზე ჯამში 34 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. ტენდერი თბილისის განვითარების ფონდმა გამოაცხადა. სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, სარეაბილიტაციო თანხა 2024-2026 წლების ბიუჯეტიდან ეტაპობრივად გამოიყოფა.**



ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას თბილისის მერიის ფონდისთვის საპროექტო და სამშენებლო მომსახურებების გაწევა მოუწევს.

ტენდერში მონაწილე კომპანიებს 2018 წლიდან დღემდე უნდა გააჩნდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და შენობებზე რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

გადასახდელი თანხების განაწილება წლების ჭრილში განისაზღვრა შემდეგნაირად:

2024 წელი – 100 000 ლარი;
2025 წელი – 17 160 707 ლარი;
2026 წელი – 17 160 707 ლარი.

ტენდერში წინადადებების მიღება 7 დეკემბერს დაიწყება და 12 დეკემბერს დასრულდება.

ცნობისთვის, თბილისის ჭადრაკის და ალპური კლუბის შენობა 1973 წელს გაიხსნა ვერის პარკში. 2019 წელს კი მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭეს.

## ვახტანგ ცინცაძე:

# იანვარ-ოქტომბერში ექსპორტის ზრდამ 7%-ს გადააჭარბა და რეკორდული მოცულობა - 5.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა



**2024 წლის ოქტომბერში ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დადასტურდა – გასული წლის ოქტომბერთან შედარებით 39%-ით გაიზარდა და მისმა მოცულობამ 681.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ვახტანგ ცინცაძის შეფასებით ქვეყანაში ექსპორტის ზრდის საკმაოდ მყარი დინამიკა ნარჩუნდება.**

„ზოგადად, ოქტომბრის თვეში ექსპორტის საკმაოდ მაღალი ზრდა ფიქსირდება, იანვარ-ოქტომბრის მაჩვენებლით კი ზრდა 7 %-ს აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა რეკორდულია და დაახლოებით 5.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა“, – აცხადებს მინისტრის მოადგილე.

ამასთან, ვახტანგ ცინცაძის ინფორმაციით, ქვეყანაში იზრდება სავალუტო შემოდინებები, მათ შორის, არამხოლოდ ექსპორტის ხარჯზე – ზრდა ფიქსირდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მხრიდანაც. როგორც მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, ასევე საკმაოდ ძლიერია სავალუტო შემოდინებები მომსახურების ექსპორტიდან, რაც პოზიტიურად აისახება მაკროეკონომიკურ ფუნდამენტურ მაჩვენებლებზე.

„ქვეყანაში მაკროეკონომიკური ფუნდამენტები საკმაოდ ძლიერია, გვაქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა. ინფლაცია მიზნობრივ დონეზე ქვემოთ ნარჩუნდება, რაც გვაძლევს პოზიტიური მოლოდინის საფუძველს - რომ მომავალ თვეებში და წლებში საქართველო შეინარჩუნებს იმაზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას, ვიდრე ამას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები პროგნოზირებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მაკროეკონომიკური პარამეტრები გაცილებით ჯანსაღია 2024 წლის განმავლობაში და არაერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ მოხდა მათი ზრდის მიმართულებით გადახედვა. ეს ერთი პოზიტიური სიგნალია არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ინვესტორებისთვისაც“.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ექსპორტის და სავაჭრო ბრუნვის რეკორდული მოცულობა დადასტურდა – ექსპორტი 9%-ით გაიზარდა და 6.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სავაჭრო ბრუნვის ზრდამ 13.4% შეადგინა და 21.7 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.


# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა** - ლენტეხის მუნიციპალიტეტში 5,35 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დევაში ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.**

**საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 23 დეკემბერი, 16:00 საათი, დაბა ლენტეხის მერიის შენობა (მის: თამარ მეფის ქ. N24).** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2025 წლის 15 იანვრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 8 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.



# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ბეთლემი 2008“-ის მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 2 დეკემბერი, 14:00 საათი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 7 ნოემბერი**. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

◎ რჩეულნი

# ლიდერის ფაქტორი



**სპორტული სეზონის გვირგვინად იქცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, რომელმაც სათანადო პატივი მიაგო როგორც პარიზის ხუთრგოლიანი მოვლენების გმირებს, ისე არნახული ფრანგული ტრიუმფის მთავარ შემოქმედებს.**

ნამდვილად ობიექტურად მოიქცნენ ღონისძიების ორგანიზატორები, რომლებმაც წლის საუკეთესო ათლეტად არა რომელიმე ერთი, არამედ სამივე ოლიმპიური ჩემპიონი მიიჩნიეს – **ლაშა ტალახაძე, ლაშა ბექაური და გენო პეტრიაშვილი,** ქალთა შორის კი უპირატესობა **ეთერ ლიპარტელიანს** მიანიჭეს, რომელმაც ახლახან შექმნა ოჯახი და მორიგ წარმატებებთან ერთად პირადი ბედნიერება უსურვეს.

ასევე ლოგიკური გახლდათ რჩეულ მწვრთნელთა გამოვლენის დროს მიღებული გადაწყვეტილებაც – დაგვეთანხმებით, **გიორგი ასანიძემ, ლაშა გუჯეჯიანმა** და **გიორგი იანტბელიძემ** სავსებით დამსახურებულად გაუსწრეს არანაკლებ ღირსეულ კოლეგებს.

რაც შეეხება სეოკ-ის ახალ ძველ თავკაცს, ჩვენს ლეგენდარულ ფალავანს **ლერი ხაბელოვს,** სწორედ მისი პრეზიდენტობის ხანას უკავშირდება ჯვაროსანთა უპრეცედენტო მიღწევები, ამიტომ მას რომ კვლავ, უკვე მესამე ვადით უკონკურენტოდ გამოუცხადეს ნდობა, არავის გაგვკვირვებია.

მეტიც – დარწმუნებული ვართ, რომ 2028 წელს კალიფორნიული ლოს-ანჯელესიდან, ჩვენი ოლიმპიური სლოგანის თანახმად, ქართული დელეგაცია უფრო მეფური ნადავლით დაბრუნდება, ვიდრე წლეულს სენის ნაპირებიდან.

ამბიციები რომ საფუძვლიანი გვაქვს, ყრილობაზე პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის დასწრების ფაქტიც მოწმობს, რომლებსაც სეოკის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ საზეიმო მიღებაზე ლერი ხაბელოვმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლები გადასცა.

დავძენთ, რომ სეოკის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა 35-წუთიანი დოკუმენტური ფილმი, სადაც ასახულია დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიური მოძრაობის ისტორია, ასევე გამოიცა საიუბილეო კრებული.



◎ იმედი ხვალის

# უნდა შევძლოთ!

**ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება 21-წლამდელთა ევრო – 2025-ის ორრაუნდიანი პლეი-ოფი საქართველოსა და ხორვატეთს შორის, მაგრამ რამაზ სვანაძეს რომ ამ დღეებში დამსახურებულად გაუგრძელეს უმცროს ჯვაროსანთა თავკაცობის კონტრაქტი 2028 წლამდე, უკვე ფაქტია.**



როგორც მოგეხსენებათ, შარშან მან მეოთხედფინალამდე გაიყვანა ამავე ასაკის გუნდი საშინაო ფორუმზე, მიმდინარე სეზონში კი სრულიად ახალ კონტიგენტს დააძლევინა ჯგუფური რაუნდი და, აჰა, პირველი ნაბიჯიც გადაადგმევინა სლოვაკეთისკენ.

**საქართველო – ხორვატეთი 1:0**

**საქართველო:** ხარატიშვილი, მაისურაძე, ლაცაბიძე, უგრეხელიძე, აზაროვი, გაგნიძე, გიზო მამაგეიშვილი, ოთარ მამაგეიშვილი, მამაცაშვილი, ოდიშარია, კვერნაძე.

ითამაშეს აგრეთვე სიგუამ, აზუაშვილმა, გორდეზიანმა და მორჩილაძემ.

**მსაჯი:** ლადებეკი (შვედეთი).

**გოლი:** სოლდო (მე-4 წთ) – საკუთარ კარში.

საკადრო პრობლემები ორივეს ჰქონდა, მაგრამ სტუმრები, როგორც ტალანტთა საბადო, ისე გამოირჩევიან და როგორც წყვილის ფავორიტები, მეექვსედ ცდილობენ ფინალურ ეტაპზე გასვლას. მით უფრო დასაფასებელია ის მწყობრი, აკადემიური ტაქტიკა, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გამართული თამაშით რომ გადაიტანა მიხეილ მესხის სტადიონის მინდორზე და, ასე განსაჯეთ, მიუხედავად მსუყე გამარჯვებისა მრისხანე მეტოქესთან, უკმაყოფილების განცდაც დაგვიტოვა, რადგან მთელი ნახევარი მეორე ტაიმი ხორვატთა მეკარის გაძევების გამო რიცხობრივი უპირატესობით გავატარეთ და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი რომ გამოგვეყენებინა, უფრო სოლიდური ანგარიშითაც გავიმარჯვებდით.

თუმცა, ამ წარმატებისთვისაც მადლობა ბიჭებსა და მათ მწვრთნელს, საპასუხო ბრძოლა კი ქალაქ რიეკაში ხვალ 22 საათზე დაიწყება.

**ფინეთი – ნორვეგია 5:1, ბელგია – ჩეხეთი 0:2.**

◎ ტატამზე

# ქართული პოლონეთი

**პოლონეთში გამართული 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების დიდი წარმატებით დასრულდა, რომელმაც 5 მედალი მოიპოვა:**

**ოქრო** – გიორგი ტერაშვილი, კოტე კაპანაძე, ირაკლი დემეტრაშვილი.

**ვერცხლი** – ნინო ლოლაძე.

**ბრინჯაო** – თენგო ზირაქაშვილი.



გიორგი ტერაშვილი

◎ ერთა ლიგა

# არ დამიკარგავს, მიპოვნია“...

**მოვიპოვეთ თუ დავკარგეთ ძვირფასი ქულა? – ალბათ, ბევრი გულშემატკივარი ეკითხებოდა საკუთარ თავს ბათუმში გამართული ერთა ლიგის მეორე დივიზიონის ჯგუფური რაუნდის ბოლოსწინა ტურის მატჩის შემდეგ.**

პოპულარულ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, პასუხი ერთი შეხედვით ადვილად გასაცემია – გააჩნია, რა შემთხვევაში, – მაგრამ მართლაც ასე მარტივადაა საქმე?

**საქართველო – უკრაინა 1:1**

**პირველი ტაიმი 0:1**

**გოლები:** კვირკველია (მე-7 წთ. საკუთარ კარში), მიქაუტაძე (74-ე წთ).

რადგან მედალს ორი მხარე აქვს, უპირველესად, შედეგის დადებით მხარეზე ვისაუბროთ და ხაზი გავუსვათ შემდეგ ფაქტებს: ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით მეორე დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისკენ და, მეტიც – ელიტაში აღზევება მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, საამისოდ კი კონკრეტული ამოცანა უნდა გადავჭრათ – ოლომოუცში ხვალ 8-ქულიან ლიდერს ჩეხეთს უნდა მოვუგოთ, რომელსაც ტურნირის სტარტზე თბილისში წირვა გამოვუყვანეთ – 4:1. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ალბანეთში უგოლო ფრის – 0:0 მიღწევა ჩვენს ხვალინდელ მეტოქეებს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ – მიღებული ყვითელი ბარათების გამო ჯვაროსნებთან მათი ლიდერები სოუჩეკი და ჩორი ვერ ითამაშებენ. აქვე ქებას იმსახურებს შეხვედრის გადასარჩენად **ვილი სანიოლის** მიერ განხორციელებული ტაქტიკური ცვლილებები, რამაც ფლანგებზე შვება მოგვგვარა: მარჯვნივ კაკაბაძის ცენტრში შეწევა და გოჩოლეიშვილის გამოყვანა, ხოლო მარცხნივ გამოფიტული შენგელიას პოზიციაზე წიტაიშვილისთვის ნდობის გამოცხადება. რაც შეეხება ამჯერად ძირითადში ზივზივაძის დაყენებას, ეს მოსალოდნელიც იყო მისი კონკურენტის ამჟამინდელი კონდიციების გათვალისწინებით, ხოლო ის, რომ ანგარიში სწორედ მიქაუტაძემ გაათანაბრა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია.

საპირისპიროდ, ძნელად ასახსნელად გამოიყურება შესვენებაზე თამაშიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჩაკვეტაძის მოხსნა, ასევე გამორჩეული ქოჩორაშვილის მიერ კვლავ უკრაინელებთან ბურთის გამოტანისას დაშვებული უხეში შეცდომა და კვირკველიას ავტოგოლი კი ბედის ირონიად უნდა მივიჩნიოთ ისევე, როგორც მატჩის საუკეთესო მოთამაშის კვარაცხელიას შორეული გასროლის შემდეგ საქმეში ძელის ჩართვა, თუმცა იმავე იღბლის მადლიერნიც უნდა ვიყოთ, ვინაიდან კოკისპირულ წვიმაში გამართულ წყალბურთის მაგვარ სახეობაში სტუმრებმა სახიფათო კონტრშეტევები გაფლანგეს, რამდენიმე ეპიზოდში კი, განსაკუთრებით ბოლო წუთებზე მამარდაშვილმა სპორტული გმირობით გადაგვირჩინა ქულა.



მოკლედ, ბიჭები უკვე ჩეხეთში არიან და ხვალ ისეთი ბრძოლა მოუწევთ, რომ როგორც აფრენის, ისე დაცემის უამრავი ვარიანტი არსებობს. სხვათა შორის, გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი დვალი უბრუნდება.

◎ ლეგიონერი

# იღბალიც საჭიროა

**ერთი კარგი მარკშეიდერისა არ იყოს, პროფესიონალი კალმოსანი ნამდვილ ბესტსელერს გამოაცხობდა წლევანდელ საკალათბურთო ევროლიგაში ვირტუსის ტოტალური უიღბლობის შესახებ.**

დიახ, რეგულარული სეზონის შეხვედრები ერთმანეთს მისდევს, ბოლონიელები თითქმის ყველა მეტოქეს ტოლ-სწორ ბრძოლას უმართავენ, მაგრამ უმეტესად დამარცხებულნი ტოვებენ სარბიელს. კიდევ უფრო დასანანი ის გახლავთ, რომ იტალიელთა ქართველი ლიდერი **თორნიკე შენგელია** პარტნიორთაგან გამორჩეულად გამოიყურება, მაგრამ...

ასე მოხდა მე-10 ტურის საშინაო მატჩში ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ პანათინაიკოსთანაც, რომლის ბედიც უკანასკნელ წამებზე სტუმართა სასარგებლოდ გადაწყდა – 77:82.

რაც შეეხება ჯვაროსანთა კაპიტანს, მან თამაში 17 ქულით დაასრულა და შედეგიანობით მხოლოდ 18-ქულიან კლაიბერნს ჩამორჩა, რომელიც ნელ-ნელა უბრუნდება ძველ კონდიციებს.

**სატურნირო მდგომარეობა:** ფენერბახჩე – 8, პანათინაიკოსი, ოლიმპიაკოსი, პარიზი, ბარსელონა, ბაიერნი – 7-7, მონაკო, ეფესი, ჟალგირისი – 6-6, ცრვენა ზვეზდა – 5, რეალი, ბასკონია, მილანი – 4-4, მაკაბი, ვილერბანი – 3-3, პარტიზანი, ვირტუსი, ალბა – 2-2 გამარჯვება.

# მიშო ჯავახიშვილი ანზორ ერქომაიშვილის როლში



**„შავი შაშვი“ - ასე ჰქვია მხატვრულ ფილმს, რომელსაც გიორგი ჭუმბურიძე იღებს. ეს არის ფილმი უდიდეს ფიგურაზე ქართულ კულტურაში, ლეგენდარულ ფოლკლორისტზე, საგუნდო დირიჟორზე, მუსიკოსზე – ანზორ ერქომაიშვილზე...**

ფილმში მთავარ როლს მიშო ჯავახიშვილი ასრულებს.მას წლები აკავშირებდა ანზორ ერქომაიშვილთან. ცხადია ის, რომ თუ დღეს მიშო 46-წლიანი ისტორიის ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელია, დიდ მაესტროსთან ძვირფასი ურთიერთობის შედეგია.

ფილმი ეხება მთლიანად ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრებას, მისი ბავშვობიდან მოყოლებული დიდი საქმეებით დაგვირგვინებული. ფილმში ნაჩვენები იქნება იუნესკოს მხრიდან ქართული ხალხური სიმღერის არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარება, უცხოეთში საარქივო მუშაობა, რადიო-ტელევიზიის არქივთან მუშაობა. ფილმის მთავარი სათქმელი და მოცემულობაა ის, რომ ქართული ხალხური სიმღერა ანზორ ერქომაიშვილის ხელით გადარჩა.

ანზორის როლზე თავიდან ირაკლი კავსაძე მოიაზრებოდა. ის ამ ფილმისთვის ამერიკიდან ჩამოვიდა. მე ჰამლეტ გონაშვილის როლისთვის დამიძახეს. ის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ერქომაიშვილის ცხოვრებაში. როდესაც მითხრეს, რომ ჰამლეტის როლი უნდა შემესრულებინა, ეს ემოციურად ამაღელვებელი იყო ჩემთვის. ჩემთვის ორივე უმნიშვნელოვანესი ფიგურა და შემოქმედია. მაგრამ მთავარი როლის განსახიერება, დამატებით ემოციური და საპასუხისმგებლო ამბავია.

საცდელი სარეპეტიციო გავლა გვქონდა, გაკეთდა შეფასება და როლებიც გადანაცვლდა. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ანზორ ერქომაიშვილის როლი შევასრულო-მეთქი. თუმცა ჩაირთო თუ არა კამერა, პირველივე მომენტიდან გადავერთე მის სამყაროში. ეს არის დიდი სიამოვნება და ბედნიერება. ძალზე საინტერესო სამუშაო, ამბობს მიშო ჯავახიშვილი.

ვინ შეასრულებს ჰამლეტ გონაშვილის როლს ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ანზორის მამის დავით ერქომაიშვილის როლს ცნობილი ბიზნესმენი ზურაბ ჩხაიძე ითამაშებს, ბაბუის –არტემის როლს ირაკლი კავსაძე ასრულებს.

„შავი შაშვი“ ჰქვია ფილმს, ცნობილი გურული სიმღერაა, ერქომაიშვილები ასრულებენ, უნიკალური სიმღერა და ჩანაწერი არსებობს. არსებობს წიგნი, ბატონი ანზორის მონათხრობი, რომელსაც ჰქვია „ბაბუა“. მასში მოთხრობილია მათი ოჯახის ისტორია. იქ შავი შაშვის თემაა. მოკლედ, ფილმის ნახვისას მიხვდებით, რატომ ჰქვია მას ეს სახელი.

ფილმის პრემიერა 2025 წლის ბოლოს შედგება.

## არდავიწყება

# ნაზიბროლა ხოჭოლავა-მორჩილაძისა



ტკივილით, მოგონებებითა და სევდით მიილია ერთი წელი უკეთილშობილესი, დიდი პროფესიონალი და უსაყვარლესი ადამიანის, ფუძემაგარი ოჯახის დედის, ბებიისა და უერთგულესი მეუღლის ნაზიბროლა ხოჭოლავას გარდაცვალებიდან.

პროფესიით ჟურნალისტი, რომელმაც სადიპლომო ნაშრომი მოსკოვში დაიცვა, იყო გაზეთ „იზვესტიის“ სპეცკორესპონდენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე 1978 წლიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, იყო სამინისტროს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, შემდეგ კი კოლეგიის მდივანი. 30 წლის განმავლობაში უმწიკვლოდ და გულისხმიერებით ემსახურა აღნიშნულ ორგანიზაციას. მისთვის საამაყო იყო მისი პარალელური საქმიანობა საქართველოს ეროვნულ აკადემიაში. იყო მისი ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, მის კოლეგებსა და ახლობლებს ემახსოვრება უბრალო, ზნეკეთილი და სამაგალითო ქალბატონი. საკუთარ მრწამსს პირნათელი გამოეთხოვა და უდიდეს ტკივილთან ერთად ცრემლნარევი ტკბილი მოგონებებიც დაგვიტოვა.

ყველაფრისთვის მადლობა, დაუვიწყარო ნაზიბროლა!
უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

**საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი.**

# ახალქალაქი-ახალციხის დამაკავშირებელ გზაზე ორი ტრაილერი ერთმანეთს შეეჯახა...

**გუშინ, 17 ნოემბერს, ახალქალაქი-ახალციხის დამაკავშირებელ გზაზე ორი ტრაილერი შეეჯახა ერთმანეთს. ინფორმაციას სამხრეთის კარიბჭე ავრცელებს. შემთხვევის შედეგად დაშავებული ორი პირი ახალქალაქის ჰოსპიტალშია გადაყვანილი.**

მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ



წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

# საპროტესტო მსვლელობის მონაწილე სამი პირი დაკავებულია

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო მსვლელობის დროს სამი პირი დააკავა.**

უწყების ცნობით, სამივე პირი ადმინისტრაციული წესითაა დაკავებული.

„შსს-მ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სამი პირი დააკავა. შსს დაკავებულებს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ედავება“, – აცხადებენ შსს-ში.

# საავტომობილო გადაადგილება ვაკეში ხუთი თვით შეიზღუდება...

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ვაკის რაიონში, ჯანსუღ კორძაიას ქუჩაზე, უსაფრთხოების მიზნით, გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობას იწყებს.**

„დაგეგმილი სამუშაოების გამო მიმდინარე წლის 19 ნოემბრიდან საავტომობილო გადაადგილება ხუთი თვით შეიზღუდება. კერძოდ, სამუშაოების წარმოების პერიოდში, საავტომობილო მოძრაობა სრულად შეიზღუდება ჯანსუღ კორძაიას ქუჩის N10-დან N14-მდე საგზაო მონაკვეთში.

აქედან გამომდინარე, ავტომობილები გადაადგილებას შეძლებენ წყნეთის გზატკეცილიდან ჯანსუღ კორძაიას ქუჩის N10-მდე და შემდეგ მალხაზ დოლიძის ქუჩის გავლით, ხოლო ჯანსუღ კორძაიას N14-მდე მოძრაობა შესაძლებელი იქნება ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩის გავლით. თბილისის მერია ბოდიშს გიხდით შექმნილი დისკომფორტისთვის!“ – აღნიშნულია განცხადებაში.

# წელს მესტიამ იმდენივე ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 12-მა მუნიციპალიტეტმა ერთად!




**2024 წლის 10 თვეში, მესტიის მუნიციპალიტეტმა 98 მილიონ კვტ.სთ-ზე მეტი ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 12 მუნიციპალიტეტის ჯამურ მაჩვენებელს უტოლდება. ამის შესახებ BM.GE-ს სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ განუცხადეს.**

საქმე ის არის, რომ სვანეთში მოსახლეობა მოხმარებული დენის საფასურს არ იხდის. უფასო ელექტროენერგიამ კი კრიპტომაინინგი წაახალისა. მაინინგის გამო, ელექტროენერგიის მზარდი მოხმარება, რომელსაც ქსელი ვერ უძლებს, წლებია გამოწვევად რჩება.

12 ნოემბერს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ განაცხადა, რომ ხაიშისა და ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულებში კატასტროფულად გაზრდილია ელექტროენერგიის მოხმარება, რის გამოც ტრანსფორმატორი გათიშულია. მერიაში თქვეს, რომ ელექტროენერგიის მოხმარების სავალალო ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია უკონტროლო კრიპტომაინინგთან და მაინერების მფლობელებს მოუწოდებენ, გამორთონ ე.წ. ბიტკოინის აპარატები.

თავის მხრივ, სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ განმარტეს, რომ ეს არ არის ავარიული გამორთვა და ის გაზრდილმა ტვირთებმა გამოიწვია. კომპანიაში BM.GE-სთან აღნიშნეს, რომ ქვესადგურის მოხმარება მაქსიმალურ ნიშნულზეა და მოწყობილობა ითიშება, რადგან ტექნიკურად მეტს ვერ უძლებს.

იმის გასარკვევად, თუ როგორია ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა BM.GE სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაუკავშირდა. კომპანიის განმარტებით, მესტიის მომსახურების ცენტრის აბონენტებმა 2024 წლის 10 თვეში მოიხმარეს იმდენივე ელექტროენერგია, რაც იმავე პერიოდში კომპანიის სხვა, თორმეტმა მომსახურების ცენტრმა ჯამურად.

შესაბამისად, კომპანიის ინფორმაციით, მესტიამ მოიხმარა: ყაზბეგის, ონის, ამბროლაურის, თიანეთის, ხულოს, დმანისის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ხარაგაულის, ვანის, აბაშის და დედოფლისწყაროს მომსახურების ცენტრების სამყოფი ელექტროენერგია.

კომპანიის მონაცემები მეტყველებს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის მოხმარება ძირითადად მზარდია. 2021 წლიდან კი 100 მლნ კვტ.სთ-საც გადააჭარბა.

# უკანონო ნადირობის 400 ფაქტი!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნიდან ორ თვეში უკანონო ნადირობის 400 ფაქტი გამოავლინეს.**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი – 96 ფაქტი დადასტურდა სამეგრელო-ზემო სვანეთში. 91 სამართალდარღვევაა გამოვლენილი იმერეთში, 58 – შიდა ქართლში, 46 – მცხეთა-მთიანეთში, 37 – ქვემო ქართლში, 35 – გურიაში, 12 – კახეთში, ასევე 12 – სამცხე-ჯავახეთში, 7 – აჭარაში, 2 კი – რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში.

**უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე.**



# ხალისით შევეგებოთ ხის მწვანე გველის წელს!

### რა ფერის ტანსაცმლით, მაკიაჟითა და ვარცხნილობით შევხვდეთ გველის წელს?!




**მოდის ბევრი დიზაინერი გველის წელს ყველაზე ელეგანტურს უწოდებს. წლის მთავარ ღამეს აქტუალური იქნება გველის კანის სტრუქტურისა და ფერის სამოსი.**

უპირატესობა ენიჭება ზურმუხტისა და ზალახის ჩრდილებს, რადგან ეს არის ხის მწვანე გველის წელი! ნაკლებად მოციმციმე ფერების მოყვარულებს შეუძლიათ უსაფრთხოდ აირჩიონ ნივთები ნაცრისფერ, რძიან, ყავისფერ ფერებში. და, რა თქმა უნდა, გველი სიამოვნებით დაინახავს მის გამოსახულებას სხვადასხვა დიზაინში – კალენდარზე, ფიგურების, სანთლების სახით, ხელსახოცებზე და გულსაკიდებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ნაძვის ხე არ იყოს გადატვირთული. გველის წელიწადისთვის იდეალური იქნება, თუ ნაძვის ხეს ერთ ფერში მორთავთ. ძირითადი ფერები გველის წელიწადში – შავი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი და მწვანე. გარდა ამისა, გველს უყვარს ოქროსფერი და ვერცხლისფერი.

ნატურალური გველის ტყავისგან დამზადებული სამოსით ნუ დახვდებით გველის წელიწადს, რადგან მას ეს არ მოეწონება. ვარცხნილობა უკეთესია თუ გექნებათ გლუვი და სიმეტრიული. საახალწლო მაკიაჟში თვალებზე უნდა გააკეთოთ აქცენტი, მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული თვალის კონტური. ფრჩხილები საურველია გქონდეთ გრძელი და ლაქი უნდა იყოს მკვეთრი ფერის.

# „მის სამყარო“ 2024



**„მის სამყარო“ 2024-ის გამარჯვებული დანიის წარმომადგენელი გახდა, სამყაროს ულამაზესი ქალის გვირგვინი დანიელმა ვიქტორია კიაერ თეილვიგმა დაიდგა. კონკურსი მექსიკაში გაიმართა.**

მეორე ადგილზე გავიდნენ ნიგერიელი ჩიდიმა ადეტშინა, მექსიკელი მარია ფერნანდა ბელტრანი, ასევე სუჩატა უანგსერი ტაილანდიდან და ვენესუელელი ილეანა მარკესი.

ორგანიზატორების თქმით, კონკურსში 120-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

წელს პირველად იყო წარმოდგენილი რამდენიმე ქვეყანა – ბელარუსი, ერიტრეა, გვინეა, მაკაო, მალდივები, მოლდოვა და უზბეკეთი.

# ისტორიაში ყველაზე ძვირი განქორწინებები

**ქორწინებების თითქმის ნახევარი განქორწინებით სრულდება, რაც საგანგაშო და სამწუხარო სტატისტიკაა, თუმცა ზოგიერთი ადამიანისთვის განქორწინება გამდიდრების უმოკლესი გზაა. წლების განმავლობაში მსოფლიოში არაერთი ისეთი მილიარდერი გვინახავს, რომელმაც დიდძალი სიმდიდრის მოპოვება მხოლოდ იმის წყალობით შეძლო, რომ ერთ დროს სწორად დაქორწინდა და შემდეგ უბრალოდ განქორწინდა.**

ამჯერად ისტორიაში ყველაზე ძვირი განქორწინებების რეიტინგს შემოგთავაზებთ და გაგაცნობთ იმ ადამიანების სიას, რომლებმაც წარუმატებელი შეუღლების შედეგად გამდიდრება შეძლეს:



ჯეფ ბეზოსი და მაკენზი სკოტი

1. ბილ გეიტსი და მელინდა გეიტსი, შეფასება: $76 მლრდ, წელი: 2021. 2. ჯეფ ბეზოსი და მაკენზი სკოტი, შეფასება: $45.5 მლრდ, წელი: 2019. 3. ალეკ ვილდენშტაინი და ჟოსლინ ვილდენშტაინი, შეფასება: $7 მლრდ, წელი: 1999. 4. რუპერტ მერდოკი და ანნა მარია დეპეისტერი, შეფასება: $3.1 მლრდ, წელი: 1999. 5. ადნან ხაშოგი და სორაია ხაშოგი, შეფასება: $2.8 მლრდ, წელი: 1980.

# ლონდონიდან ნიუ-იორკში მოგზაურობა სულ რაღაც 29 წუთში?!

**ილონ მასკის SpaceX-ს შეუძლია რევოლუცია მოახდინოს ჩვენს მოგზაურობებში – გადაიყვანოს მგზავრები ქალაქიდან ქალაქში, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან.**

მილიარდერის კომპანიამ შექმნა დედამიწაზე ყველაზე ძლიერი რაკეტა სახელწოდებით „Starship“, მაგრამ მასკი არ გამოიყენებს მას მხოლოდ კოსმოსში გასაფრენად.

ილონ მასკი ამბობს, რომ რაკეტას შეუძლია მკვეთრად შეამციროს საჰაერო მოგზაურობის დრო, მაგალითად, ლონდონიდან ნიუ-იორკში მოგზაურობა მხოლოდ 29 წუთში.

კომპანიის თქმით, მასიური რაკეტა 1000 მგზავრს დაიტევს და დედამიწის ნებისმიერ წერტილში ფრენას ერთ საათში შეძლებს.

SpaceX ასევე ამბობს, რომ შორ მანძილზე მოგზაურობის უმეტესობა 30 წუთზე ნაკლებს გაგრძელდება.

რაკეტის მაქსიმალური სიჩქარე იქნება 27000 კმ/სთ-მდე.

**ვარსკვლავური ხომალდის ფრენების დრო:**

**ლონდონი ნიუ-იორკამდე – 29 წუთი; ნიუ-იორკიდან პარიზამდე – 30 წუთი; ჰონოლულუ ტოკიოში – 30 წუთი; ტოკიო დელიში – 30 წუთი;**




**სიდნეი სინგაპურში – 31 წუთი;**

**LA londonamde – 32 წუთი; ლონდონი ჰონგ კონგამდე – 34 წუთი; ლონდონი კეიპტაუნამდე – 34 წუთი; სიდნეი დელიმდე – 36 წუთი; ნიუ-იორკი სიდნეიმდე – 49 წუთი.**

როდესაც ილონ მასკს ჰკითხეს, შეძლებდნენ თუ არა ადამიანები გადაადგილებას ფრენის დროს, მან თქვა: „ეს არაგონივრული იქნებოდა. ფრენისას მათ დასჭირდებათ ძლიერი შემაკავებლები (დამჭერები), დაახლოებით ისეთი, როგორებიც ატრაქციონებზეა“.

# ვიტორიო სელა – საქართველოზე შეყვარებული იტალიელი




**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე იტალიელი ალპინისტისა და ფოტოგრაფის ვიტორიო სელას ფოტოკოლექციის ნაწილი გამოქვეყნდა.**

ეროვნული არქივის ინფორმაციით, კოლექციაში წარმოდგენილია სურათები, რომელიც ვიტორიო სელამ საქართველოში მოგზაურობისას 1889, 1890 და 1896 წლებში გადაიღო. სტანდარტულ, პანორამულ და სტერეოსკოპულ ფოტოებზე ასახულია სვანეთის მწვერვალები, მყინვარები, ხეობები, სოფლები. მათ შორისაა: გისტოლას, თეთნულდის, უშბას, იალბუზის, ლაჰილის, ასევე, თბილისის, მცხეთის, მესტიისა და სოფლების: უშგულის, მაზერის, მულახის, მუჟალის, ადიშის, ღების ხედები. სელას ფოტოკამერამ ასევე აღბეჭდა სვანეთისა და რაჭის ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული შინაარსის სურათები.



სელას ნამუშევრებს იტალიაში მთარგმნელმა და რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა 1980-იან წლებში მიაკვლია. მან ფოტოების ერთი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივს, 1983 წელს გადასცა. 2018 წელს კოლექცია შეივსო რეზო თაბუკაშვილის შვილის, ლაშა თაბუკაშვილის მიერ არქივისთვის გადაცემული ამავე შინაარსის სხვა ფოტოებით.

# რიყე-ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო გზა მგზავრებს დროებით ვერ მოემსახურება

**რიყე-ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო გზა, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სამუშაოების გამო, 18 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მგზავრებს ვერ მოემსახურება. ინფორმაციას თბილისის სატრანსპორტო კომპანია ავრცელებს.**




სამუშაოებს, ხელშეკრულების პირობების თანახმად, იტალიური მწარმოებელი კომპანია „ლაიტნერის“ სპეციალისტები ჩაატარებენ. თბილისის სატრანსპორტო კომპანია ბოდიშს გიხდით დისკომფორტისთვის! – აღნიშნულია განცხადებაში.

# მკვლელი სტუდენტი

**ჩინეთის ქალაქ ისინგის კოლეჯში მომხდარი თავდასხმის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა და 17 დაშავდა. თავდასხმა ხელოვნებისა და ტექნოლოგიების პროფესიულ ინსტიტუტში დანით შეიარაღებულმა 21 წლის ახალგაზრდამ მოაწყო. პოლიციამ ის ადგილზე დააკავა.**

როგორც ირკვევა, მან გამოცდები ვერ ჩააბარა და კოლეჯს შურისძიების მიზნით დაესხა თავს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.7311; ევრო - 2.8873;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4625;**
**100 რუბლი - 2.7367; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6062;**
**1000 სომხური დრამი - 7.0244.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 ნოემბერს**